ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCE)

# 2017 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის ანგარიში

ანგარიში შექმნილია პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში, ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, კონრად ადენაუერის ფონდის და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის შეხედულებებს.

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით.

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI CSI
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute
CSRDG
ctc Empowering People for Change
EDEC

თბილისი
ივნისი, 2019

# სარჩევი


მადლიერების ნიშნად ..... 4
მოკლე მიმოხილვა ..... 5
შემოკლებები და ტერმინთა განმარტება ..... 7

I. შესავალი ..... 8

II. კვლევის მონაცემთა მოპოვება და მეთოდოლოგია ..... 9
1.სამაგიდო კვლევა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ..... 9
2.ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუსჯგუფები ..... 11
3.კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები ..... 12

III. სახელმწიფო გრანტების გაცემის 2017 წლის პრაქტიკის მიმოხილვა ..... 13
1.გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვა ..... 13
2.2017 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების ზოგადი სტატისტიკა ..... 17
▸ ცხრილი 2: 2017 წელს გაცემული გრანტების მიზნობრიობა და სტატისტიკა ... 18

IV. სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის ძირითადი დასკვნები და მიგნებები ..... 20
1.საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის დაგეგმვა ..... 21
2.საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის პროცესი ..... 25
2.1.საგრანტო კონკურსის გამოცხადება ..... 25
2.2.საგრანტო განაცხადების მიღება ..... 29
2.3.შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირება ..... 32
3.საკონკურსო განაცხადების შეფასება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ..... 36
3.1.გასაჩივრების მექანიზმი ..... 39
4.საჯარო ინსტიტუტის მიერ საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ..... 41
5.ზოგადი მიგნებები ..... 44

V. რეკომენდაციები ..... 47

დანართები ..... 51
გამოყენებული მასალები ..... 68

# მადლიერების ნიშნად

*უპირველეს ყოვლისა, გვინდა მადლიერება გამოვხატოთ იმ პირების მიმართ, რომელთაც წვლილი შეიტანეს კვლევის წარმოების პროცესში. წინამდებარე კვლევის განხორციელება წარმოუდგენელი იქნებოდა გრანტის გამცემ საჯარო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. მონიტორინგის განხორციელების პროცესში თითოეულმა მათგანმა აქტიურად შეუწყო ხელი ღირებული ცოდნის შექმნას მკვლევართა ჯგუფისთვის ინფორმაციის ღიად მიწოდებისა და გამოცდილების გაზიარების გზით.*

*ამასთანავე, კვლევაში აქტიურად მონაწილეობდნენ იმ ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელთაც 2017 წელს მონაწილეობა მიიღეს საგრანტო კონკურსში და რომელთა ნაწილმაც წარმატებით მოიპოვა სახელმწიფო დაფინანსება. თითოეული რესპოდენტის მიერ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება ფასდაუდებელი აღმოჩნდა კვლევის ძირითადი მიგნებების გამოვლენისა და რეკომენდაციის შემუშავების პროცესში.*

*განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტსა და პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ დონორებს - ევროკავშირსა და კონრად ადენაუერის ფონდს - კვლევის ფინანსური მხარდაჭერისთვის.*

# მოკლე მიმოხილვა

ა(ა)იპ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელმა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ხელშეწყობით და ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა 2017 წელს საჯარო ინსტიტუტების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან საგრანტო დაფინანსების გაცემის მონიტორინგი.

საქართველოში საჯარო დაწესებულებები კომპეტენციის სფეროების მიხედვით გასცემენ გრანტებს. დაფინანსების საგრანტო მექანიზმის გამოყენება ხდება კანონმდებლობით დადგენილი მიზნობრიობით, მიმართულებითა და კანონმდებლობითვე განსაზღვრული საჯარო უწყებების მიერ. წინამდებარე ანგარიში არ მოიცავს სახელმწიფო გრანტების ფარგლებში განხორციელებული პროექტების შინაარსისა თუ ხარისხის შეფასების მიმართულებას. ის, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად არის წინასწარ განსაზღვრული გრანტის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები, რამდენად და როგორ ასრულებს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება თავის ვალდებულებებს გრანტის გაცემისა და განხორციელების ყველა ეტაპზე, ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობს, გააანალიზოს, თუ რა გამოცდილება აქვთ საგრანტო კონკურსში მონაწილე და გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების კუთხით.

მონიტორინგის პროცესისთვის საჭირო ინფორმაცია მოწოდებულია როგორც სახელმწიფო გრანტის  გამცემი უწყებების, ისე საგრანტო კონკურსში მონაწილე და გრანტის მიმღები ორგანიზაციების მხრიდან. კვლევისთვის საჭირო ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზს წინ უძღოდა, ერთი მხრივ, საჯარო ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების შედეგად მიღებული ცოდნის ანალიზი. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა სახელმწიფო გრანტების გაცემის დაგეგმვის, გრანტების გაცემის პროცესის და შემდგომი ადმინისტრირების შესწავლა და ანალიზი. ამრიგად, შედეგებზე დაყრდნობით, მოცემული ანგარიში მიმოიხილავს მონიტორინგის პროცესის ძირი-

თად მიგნებებსა და დასკვნებს სახელმწიფო გრანტის გაცემის თითოეულ ეტაპზე და ადგენს შესაბამის რეკომენდაციებს პროცესის ეფექტურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით.

მოცემული ანგარიში ერთგვარი მცდელობა და წინ გადადგმული ნაბიჯია სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერების, პროცესის ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის. კვლევის ფარგლებში წარმოდგნეილია სახელმწიფო გრანტების გაცემის ადმინისტრირების როგორც კარგი, ასევე სუსტი მხარეები. ამასთანავე, კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება ემსახურება სახელმწიფო გრანტების გამცემი უწყებებისა და გრანტის მიმღები ორგანიზანაციების თანამშრომლობის ხელშეწყობას და სახელმწიფო დაფინანსების გაცემის პროცესის გაუმჯობესებას.

# შემოკლებები და ტერმინთა განმარტება

| | |
|---|---|
| **განმარტებები** | |
| გრანტი | „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა. |
| სახელმწიფო გრანტი | გრანტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრების ფარგლებში გაიცა. გრანტის გასაცემად ასევე გამოიყენება არასაბიუჯეტო სახსრები, მაგალითად, დონორი ორგანიზაციიდან მიღებული სახსრები. თუმცა, ეს მეთოდოლოგია ფარავს მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში გაცემული საგრანტო დაფინანსების მონიტორინგის საკითხებს. |
| საჯარო ინსტუტი /დაწესებულება/უწყება | საქართველოს სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მთავრობის/სამინისტროს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. |
| საგრანტო პროგრამა | გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადებისა და თანხების შესახებ. |
| სამართლებრივი აქტი | საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ან „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. |
| ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი | საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. |
| ნორმატიული აქტი | საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. |
| **შემოკლებები** | |
| ა(ა)იპ | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| სსიპ | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |

# I. შესავალი

საქართველოში საჯარო ინსტიტუტები კომპეტენციის სფეროების მიხედვით გასცემენ გრანტებს. დაფინანსების საგრანტო მექანიზმის გამოყენება ხდება კანონმდებლობით დადგენილი მიზნობრიობით, მიმართულებითა და კანონმდებლობითვე განსაზღვრული საჯარო დაწესებულების მიერ. აღნიშნული ანგარიში მოიცავს  საჯარო ინსტიტუტების მიერ 2017 წელს გაცემული საგრანტო დაფინანსების მონიტორინგის შედეგებს. კვლევის ინტერესის სფეროს წარმოადგენს 2017 წელს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე (ა(ა)იპ) გაცემული სახელმწიფო დაფინანსება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ინტერესს წარმოადგენს სახელმწიფო დაფინანსების საგრანტო პროგრამები, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილია  სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდიც, რომელიც 2017 წელს იყენებდა დაფინანსების არასაგრანტო მექანიზმებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო სუბსიდირებას ან/და სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში საკონკურსო წესით დაფინანსების გაცემას . საგულისხმოა, რომ სუბსიდირების მეთოდს სხვა საჯარო დაწესებულებებიც იყენებენ, თუმცა სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის შემთხვევაში დაფინანსების არასაგრანტო მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი არსით და მიზნობრიობით ჰგავს საგრანტო დაფინანსებას და სწორედ ამიტომ გახდა წინამდებარე კვლევის საგანი. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 24 მაისიდან სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი გრანტის გამცემად არის განსაზღვრული

საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემა ხდება სხვადასხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება რეგულირების მოცულობისა და შინაარსის თვალსაზრისით.

წინამდებარე კვლევის მეორე თავი ეთმობა კვლევის მონაცემთა მოპოვებასა და მეთოდოლოგიას, მესამე თავში განხილულია გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები  და 2017 წელს გაცემული გრანტების ზოგადი პრაქტიკა/სტატისტიკა, მეოთხე თავი ეძღვნება სახელმწი-

ფო გრანტების გაცემის მონიტორინგის ძირითად დასკვნებს და მიგნებებს, ხოლო მეხუთე თავში წარმოდგენილია რეკომენდაციები იმ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, რომლებმაც უკვე გასცეს ან გეგმავენ გრანტების გაცემას. ანგარიშს თან ახლავს კვლევის განმავლობაში გამოყენებული წერილების/კითხვარების ნიმუში და მასალების ჩამონათვალი.

# II. კვლევის მონაცემთა მოპოვება და მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მონიტორინგისთვის შეირჩა შესაბამისი მეთოდოლოგია და კვლევის შემდეგი ინსტრუმენტები: სამაგიდო კვლევა (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა), ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების ორგანიზება საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, საგრანტო კონკურსში მონაწილე და გრანტის მიმღებ ორგანიზაციებთან - ააიპ-ებთან. საველე სამუშაოები ჩატარებულია 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 31 მაისამდე. კვლევის ამოცანებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, სახელმწიფო გრანტების მონიტორინგი წარიმართა რამდენიმე ეტაპად:

## 1. სამაგიდო კვლევა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

იმის დასადგენად, თუ რამდენად არის წინასწარ განსაზღვრული გრანტის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები, როგორ ასრულებს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს გრანტის გაცემისა და განხორციელების ყველა ეტაპზე, ჩატარდა სამაგიდო კვლევა, რომელიც მოიცავდა დოკუმენტაციისა და ონლაინრესურსების (საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდები) შესწავლას. ამ ეტაპზე განხორციელდა შესაბამისი ნორმატიული აქტებისა (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები, დებულებები და ა.შ.) და საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის წესების შესწავლა (წყარო: სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალური პორტალი - www.matsne.gov.ge

[1] აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, მთავრობის 24 მაისის 248 დადგენილებით, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი განისაზღვრა გრანტის გამცემ საჯარო დაწესებულებად.

და გრანტის გამცემი ინსტიტუტების ვებგვერდები). ამასთანავე, მოხდა საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი იმ საჯარო ინსტიტუტების იდენტიფიცირება, რომელთაც შეუძლიათ ა(ა)იპ-ებზე სახელმწიფო დაფინანსების გრანტის ან სუბსიდიის სახით გაცემა. სამაგიდო კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებპორტალებსა და მასში არსებულ „საჯარო ინფორმაციის“ გვერდებზე. ამ ნაწილში გაანალიზდა საგრანტო კონკურსის გამოცხადებისას გამოქვეყნებული ინფორმაცია (განაცხადის წარდგენის მოთხოვნები, ვადები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა) და განაცხადების მიღების/გრანტების მართვის ონლაინ სისტემები.

კვლევის შემდეგ ეტაპზე, წინასწარ შედგენილი წერილის საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრული იყო შესაბამისი დოკუმენტაციის ნუსხა (დანართი #1), გამოთხოვილია უფლებამოსილი საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაცია. პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს დოკუმენტაციის ნუსხა წერილობითი სახით. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში დაირღვა დოკუმენტაციის მიღების კანონით დადგენილი ვადა (დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე). ზოგიერთ შემთხვევაში (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდი) დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო არასრულად, შესაბამისად, ამ შემთხვევებში მიღებული საჯარო ინფორმაციისა და სიღრმისეული ინტერვიუების/ფოკუსჯგუფის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნაწილობრივ განხორციელდა გრანტის გაცემის პროცესის შესწავლა. მიღებული საჯარო ინფორმაციის დამუშავებისას ყურადღება გამახვილდა გრანტის გაცემის წესის შესწავლაზე, წარმოდგენილი ხელშეკრულებების, ანგარიშებისა და მონიტორინგის შედეგებზე.

კვლევის ამ ეტაპზევე შემუშავდა კითხვარი (დანართი #2, #3, #4) ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებისთვის.

## 2. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუსჯგუფები

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ შეირჩა თვისობრივი ინფორმაციის მისაღებად. ის კარგი ინსტრუმენტია განსხვავებული მოსაზრებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, სპეციფიკური მდგომარეობის შესასწავლად ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად. ინტერვიუს ჩატარება მიზანშეწონილი აღმოჩნდა ყველა იმ გრანტის გამცემი საჯარო უწყების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა დონის მენეჯერთან და საგრანტო პროგრამის შექმნაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელთაც გასცეს სახელმწიფო დაფინანსება ა(ა)იპ-ებზე 2017 წელს.

ამრიგად, ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ უწყებებთან:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;
- სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი.

ამასთანავე, გრანტების მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკის გადასამოწმებლად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც 2017 წელს მიიღეს მონაწილეობა საგრანტო კონკურსში და რომელთა ნაწილმაც წარმატებით მოიპოვა დაფინანსება. საგრანტო კონკურსში მონაწილეობასა და შემდგომი ადმინისტრირების პროცესთან დაკავშირებული ბარიერების გამოსავლენად ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც, რომელთაც კონკურსის შედეგად ვერ მოიპოვეს დაფინანსება, ასევე იმ ორგანიზაციებმაც, რომელთაც საერთოდ არ მიუღიათ კონკურსში მონაწილეობა და არ იცნობენ სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების გზებს. ამ უკანასკნელთა გამოცდილების გათვალისწინება კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ბარიერე-

ბის გამოსავლენად, რომელთაც ორგანიზაციები აწყდებიან სახელმწიფო საგრანტო პროგრამებით სარგებლობისას. კვლევის ფარგლებში, გარდა 7 საჯარო დაწესებულებებისა, ჩართული იყო 12 ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი. მონიტორინგი განხორციელდა 2017 წელს გაფორმებულ 60 საგრანტო ხელშეკრულებაზე.

ინტერვიუების დასრულების შემდგომ პირველი ფოკუსჯგუფი გაიმართა იმ საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, რომელთაც 2017 წელს გასცეს სახელმწიფო დაფინანსება გრანტის (ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, სუბსიდიის) სახით, ხოლო მეორე ფოკუსჯგუფი გაიმართა იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც 2017 წელს მოიპოვეს დაფინანსება. ფოკუსჯგუფების მიზანს წარმოადგენდა დამატებითი საკითხების გამოვლენა და რეკომენდაციებზე მსჯელობა.

გარდა აღნიშნული მეთოდისა, დამატებით მომზადდა ონლაინ კითხვარი, რომელიც დაეგზავნათ 2017 წელს დედაქალაქში და რეგიონში მომუშავე გრანტის მიმღები ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ეს მეთოდი გამოვიყენეთ კვლევის არეალის გაფართოების მიზნით .

## 3. კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინაღობები

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში საჯარო დაწესებულებების მხრიდან ვერ მოხერხდა სახელმწიფო საგრანტო პროგრამის ფარგლებში არსებული საჯარო ინფორმაციის სრულად მოწოდება. კვლევის პროცესში ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სრულად არ მოგვაწოდა  მოთხოვნილი ინფორმაცია, რის ოფიციალურ საფუძვლადაც 2018 წელს განხორციელებული რესტრუქტურიზაცია და დოკუმენტების ინვენტარიზაცია დაასახელა. (მოთხოვნილი საარქივო მასალები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა ყოფილი სამინისტროს იმ ნაწილის საქმიანობას უკავშირდებოდა, რომელიც ზემოთ აღნიშნული სამინისტროს შემადგელნობაშია). შესაბამისად, კვლევაში გამოყენებული ცოდნა ეფუძნება საჯარო ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და ფოკუსჯგუფის შედეგებს და საგრანტო პროგრამის

დოკუმენტაციის იმ ნაწილს, რომლის მოწოდებაც შესაძლებელი გახდა.

ასევე, არასრული დოკუმენტაცია იყო მოწოდებული სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდიდან. აღნიშნული უწყებიდან საჯარო ინფორმაციის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადგენდა მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებებს, შესაბამისად, მონიტრინგი განხორციელდა ნაწილობრივ ინფორმაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით.

# III. სახელმწიფო გრანტების გაცემის 2017 წლის პრაქტიკის მიმოხილვა

## 1. გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვა

საქართველოში გრანტების გაცემის საერთო პრინციპებს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღრავს, რომელიც 1996 წლის 28 ივნისს არის მიღებული. აღნიშნული კანონი არეგულირებს გრანტის ცნებას და ადგენს, თუ ვინ შეიძლება იყოს გრანტის გამცემი და მიმღები. სახელმწიფოს მიერ გრანტად მიჩნეულია გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის

ამ კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სახელმწიფო დაწესებულებებიდან გრანტის გამცემები შეიძლება იყვნენ საქართველოს სამინისტროები, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

საქართველოს სამინისტროებისთვის სავალდებულოა, რომ გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტები წარუდგინონ საქართველოს მთავრობას გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყე-

ნების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის #126 დადგენილების მიხედვით, სამინისტროებს აქვთ ვალდებულება, 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე გრანტი გასცენ მხოლოდ პრემიერ-მინისტრის თანხობის შემდეგ, ხოლო თუ გრანტის მოცულობა აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, მაშინ სამინისტრო ვალდებულია, წინასწარ მოიპოვოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნა გრანტის გაცემის წინასწარი დოკუმენტის შესახებ და შემდეგ დოკუმენტების ერთობლიობა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. შესაბამისი განკარგულების მიღების შემდეგ მინისტრი აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებას. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ზემოთ აღნიშნული საკნონმდებლო აქტი არ განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც სამინისტრომ უნდა წარადგინოს, ხოლო მთავრობამ/პრემიერ-მინისტრმა განიხილოს მოთხოვნა და მიიღოს შესაბამისი გადაწყეტილება. კვლევის ფარგლებში მიღებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს გაცემული გრანტების საფუძველი პრემიერ-მინისტრის/მთავრობის თანხმობაა, თუმცა კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც იღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი ან/და მთავრობა, რა შეიძლება გახდეს უარის თქმის საფუძველი მაშინ, როცა საგრანტო კონკურსი უკვე ჩატარებულია და გამარჯვებულს აქვს ხელშეკრულების დადების მოლოდინი.

აღნიშნული დოკუმენტების გარდა, გრანტის გამცემ ყველა საჯარო დაწესებულებას სხვადასხვა სამართლებრივი აქტით აქვს დარეგულირებული გრანტის გაცემის პროცედურები საგრანტო კონკურსის გამოცხადებიდან პროექტების შესრულების ეტაპამდე.

რადგან წინამდებარე კვლევა ეხება 2017 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების პროცესის შეფასებას, კვლევის ფარგლებში შესწავლილია იმ საჯარო დაწესებულებების მიერ დამტკიცებული და 2017 წლისთვის მოქმედი გრანტის გაცემის მარეგულირებელი ნორმები, რომლებმაც 2017 წელს ა(ა)იპ-ებზე გასცეს გრანტი. შესაბამისად, კვლევა არ შეეხო სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ საამისო უფლებამოსილება აქვს, სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით 2017 წელს ა(ა)იპ-ებზე გრანტი არ გაცემულა.

## ცხრილი 1: კვლევის ფარგლებში შესწავლილი 2017 წელს გაცემული გრანტების სამართლებრივი საფუძვლები

| 2017 წელს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება | გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველი 2017 წელს |
|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge | „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №160 ბრძანება „საქართველო იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო[2] www.moh.gov.ge | „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №246 ბრძანება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. |
| სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge | „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 ნოემბრის №525 დადგენილება; ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტი. |

[2] 2017 წელს გრანტი აქვს გაცემული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რომელიც, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაშია;

| | |
|---|---|
| ᲡᲡᲘᲞ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ www.rustaveli.org.ge | „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი - 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №273 დადგენილება; ფონდის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. |
| ᲡᲡᲘᲞ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ www.rustaveli.org.ge | „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონი - 301-ე მუხლი; ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტი. |
| ᲡᲡᲘᲞ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ www.gita.gov.ge | „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ – მე-2 მუხლი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის N1554 განკარგულება. |
| ᲡᲡᲘᲞ ᲑᲐᲕᲨᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ[3] www.fondi.gov.ge | საქართველოს კანონი „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის“ შესახებ; საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის ბრძანება #2 „სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვალის ბრძანება №4 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სათათბიროს დებულების დამტკიცების“ შესახებ. |

[3] ფონდი 2017 წელს არ გასცემდა გრანტებს - სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ფარგლებში გასცემდა სახელმწიფო დაფინანსებას.

## 2. 2017 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების ზოგადი სტატისტიკა

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად მოვიპოვეთ ინფორმაცია იმ საჯარო დაწესებულებებიდან, რომლებმაც 2017 წელს ა(ა)იპ-ებზე საბიუჯეტო სახსრებიდან გასცეს საგრანტო დაფინანსება.

ინფორმაციის დამუშავების შემდეგ დადგინდა დასამონიტორინგებელი გრანტების შერჩევის კრიტერიუმები: პროექტის ვადები (შერჩეულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტები); პროექტის ბიუჯეტი (შერჩეულია რამდენიმე მცირებიუჯეტიანი და მაღალბიუჯეტიანი პროექტი); ათვისებული ბიუჯეტის ოდენობა (შერჩეულია რამდენიმე პროექტი აუთვისებელი გრანტის ოდენობის გამო); პროექტის განხორციელების ადგილი; დადებული საგრანტო ხელშეკრულებების ოდენობა.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოს სამინისტროებიდან მხოლოდ ორს: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რომელიც, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაშია - აქვთ 2017 წელს გაცემული გრანტები. რაც შეეხება სსიპ-ებს, ხუთმა დააფინანსა ა(ა)იპ-ების ინიციირებული პროექტები. აქედან ოთხი იყო საგრანტო დაფინანსება, ხოლო ერთი (სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის შემთხვევაში) - მიზნობრივი სუბსიდია, რომელიც თავისი არსით საგრანტო დაფინანსების მსგავს მექანიზმებს შეიცავს.

საჯარო ინსტიტუტებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში ა(ა)იპ-ებთან გაფორმებულია 121 საგრანტო ხელშეკრულება, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 6.264.975 (ექვსი მილიონ ორას სამოცდაოთხი ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი) ლარს. გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების ნაწილი მრავალწლიანია და, შესაბამისად, ბიუჯეტი რამდენიმე წელზეა განაწილებული.

## ცხრილი 2: 2017 წელს გაცემული გრანტების მიზნობრიობა და სტატისტიკა

| 2017 წელს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება | გრანტის გაცემის მიზანი | 2017 წელს გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა |
|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge | ყოფილ პატიმართა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა; ნარკოტიკების ავადმოხმარებით გამოწვეული ზიანისა და ქუჩში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია; | 4 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო www.moh.gov.ge | სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა | 1 |
| სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge | განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება | 10 |
| სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი www.rustaveli.org.ge | სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა | 4 |
| სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი www.electionreforms.ge | ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლება; პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა | 2 |
| სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge | ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა | მუდმივად მიმდინარე |
| სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი[4] www.fondi.gov.ge | ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა- (დასაქმების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლება, ცხოვრების ჯანსაღის წესი, სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა). | 1 |

[4] ფონდის მიერ 2017 წელს არ გაიცა გრანტი მისი ფორმალური გაგებით- ეს იყო მიზნობრივი სუბსიდია

| გრანტის გაცემის მიზანი | 2017 წელს გაცემული გრანტების რაოდენობა ა(ა)იპ-ებზე | შეწყვეტილი საგრანტო ხელშეკრულებები | 2017 წელს დაკონტრაქტებული გრანტების ჯამური ბიუჯეტი ლარში |
|---|---|---|---|
| 11 | 3 | 0 | 163.882 |
| 13 | 6 | 0 | 590.000 |
| 43 | 9 | 0 | 276.090 |
| 27 | 16 | 0 | 2.083.551 |
| 134 | 46 | 0 | 2.399.014 |
| 2 | 2 | 0 | 8.600 |
| 151 | 39 | 0 | 743.837.95 |

# IV. სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის ძირითადი დასკვნები და მიგნებები

საჯარო ინსტიტუტების მიერ სახელმწიფო დაფინანსების გაცემის მონიტორინგი განხორციელდა სახელმწიფო გრანტების მართვის ციკლის შესაბამისად (იხ. ცხრილი 3), რომელიც სამ ძირითად ეტაპად იყოფა: გრანტების გაცემის დაგეგმვა, გრანტების გაცემის პროცესი და გრანტების მონიტორინგი და შეფასება.

ცხრილი 3: სახელმწიფო გრანტების მართვის ციკლი

მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოხდა თითოეული ეტაპის შესწავლა და გაანალიზება, როგორც საჯარო ინფორმაციის მოპოვების გზით, ასევე საჯარო ინსტიტუტების საგრანტო პროგრამის მართვაში ჩართულ პირებთან ჩატარებული

ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების გამართვის საშუალებით. ამასთანავე, მონიტორინგის ფარგლებში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარებაც, რომელთაც 2017 წელს მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება.

ამრიგად, შედეგების ანალიზისას, შესაძლებელი გახდა როგორც საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტების გაცემის ადმინისტრირების ძირითადი ეტაპების მონიტორინგი, ასევე ამ დაფინანსების მიმღებთა გამოცდილების გაზიარებაც. კვლევის ძირითადი მიგნებები წარმოდგენილია გრანტის გაცემის ეტაპების შესაბამისად. თითოეული მიგნების განხილვისას კი გათვალისწინებულია სახელმწიფო გრანტის გამცემი დაწესებულებებისა და ა(ა)იპ-ების გამოცდილება და ხედვა. გარდა გრანტის ადმინისტრირების ეტაპებთან დაკავშირებული კონკრეტული მონიტორინგის შედეგებისა, აქვეა წარმოდგენილი კვლევის ეტაპზე გამოკვეთილი ზოგადი სახის მიგნებები, რომლებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ზოგადი დასკვნების გაკეთებისა და რეკომენდაციების შემუშავებისას.

## 1. საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის დაგეგმვა

სახელმწიფო გრანტების სისტემის მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტების გაცემის დაგეგმვის ეტაპის შეფასება. ამ მიზნით გაანალიზდა საჯარო დაწესებულებების მიერ გრანტის გაცემის დაგეგმვის პროცესში საგრანტო პროგრამის შექმნის, საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციები, რომლებიც მოიცავს მონაცემებს საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადებისა და თანხების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა დოკუმენტების ანალიზს, რომელიც გადამოწმდა ჩაღრმავებული ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილ ყველა საჯარო უწყებას აქვს კანონმდებლობის მოთხოვნილი ფორმით დამტკიცებული გრანტის გაცემის წესი, რომელიც არეგულირებს კონკრეტული საჯარო უწყების მიერ გრანტის გაცემის პროცესის ადმინისტრირების ძირითად პრინციპებს.

2017 წელს ყველა უწყებას, გარდა სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსი, გამოცხადებული აქვს საგრანტო კონკურსები, რომლებიც დროში შეზღუდულია. სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შემთხვევაში მოქმედებს მცირე გრანტების პროგრამა, რომელიც 2015 წლიდან დაიწყო და მასში მონაწილეობა დროში შეუზღუდავად არის შესაძლებელი. სხვა დანარჩენ შემთხვევაში არსებობს 2017 წელს გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული პერიოდისთვის გრანტის გაცემის სავარაუდო თემატიკასა და მიმართულებებს.

კვლევის ამ ეტაპზე გამოიკვეთა, რომ 2017 წლისათვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსები, გრანტის გაცემის წესის შესაბამისად, ასახავდნენ საჯარო უწყების კომპეტენციის სფეროში **აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის საჭიროებებსა და მიმართულებებს.** თუმცა აღსანიშნავია, რომ საგრანტო პროგრამის ძირითადი მიმართულებების გამოკვეთისას ნაკლებადაა გამოყენებული და/ან მითითებული რეგულარული და განახლებული ემპირიული კვლევის მონაცემები, რომლებიც გაამყარებს საგრანტო პროგრამის საჭიროებასა და აქტუალურობას. საჯარო უწყებებს მსგავსი კვლევის ვალდებულება ან საჭიროებების კვლევით გამყარების ვალდებულება კანონმდებლობით არ აქვთ განსაზღვრული, თუმცა კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ შესაბამისი არგუმენტაცია აუცილებელია. საჯარო დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო) პრიორიტეტების განსაზღვრისას გათვალისწინებულია შიდა მოკვლევის შედეგები (მაგ. სოციალური მუშაკების გამოკითხვა, სამიზნე ჯგუფის გამოკითხვა), თუმცა ვერ სახელდება კონკრეტული კვლევა ან მონაცემთა წყარო, რომელიც საკონკურსო პროგრამის პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების შემუშავებას დაედო საფუძვლად. ამ ეტაპის კვლევისას საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენელთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი პრიორიტეტი, რომელიც საგრანტო კონკურსით  არის განსაზღვრული, საჭიროებს პერიოდულ გადახედვას და განახლებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი მიმართულებების გადააზრებას, შედეგებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, მონიტორინგის ამ ეტაპზე გამოიკვეთა, რომ თითქმის არ

არსებობს სხვადასხვა დაინტერესებული პირის, მათ შორის პოტენციური მოსარგებლეების (საინიციატივო ჯგუფები, ა(ა)იპ-ები), **საგრანტო კონკურსის პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში ჩართვის პრაქტიკა.** მსგავსი ჩართულობის მექანიზმი არ არის გაწერილი საგრანტო პროგრამის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტში, თუმცა ზოგიერთი ინსტიტუტი საგრანტო პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრისას ითვალისწინებს გასული საგრანტო კონკურსის გამარჯვებულების რეკომენდაციებსა და გამოცდილებას მომავალი საგრანტო კონკურსის დაგეგმარების პროცესში. მსგავს ფორმალიზებულ პრაქტიკას იყენებს  მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, რომლის თანახმადაც, ყოველი საგრანტო ციკლის დასრულების შემდგომ იმართება ფორუმი, რომლის ფარგლებშიც პროგრამის გამარჯვებულებს პროექტების განხორციელების შემდგომ საშუალება ეძლევათ,  გაუზიარონ საგრანტო პროგრამის თანამშრომლებს საკუთარი გამოცდილება, მიგნებები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მომავალი საგრანტო ციკლის დაგეგმვისას.

*„ყველა პროექტის განხორციელების შემდეგ ან წლის ბოლოს, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენელები ატარებენ შეხვედრას დაფინანსებულ ორგანიზაციებთან და ერთობლივად განიხილავენ  მომავალი წლის მიმართულებებს და შესაძლო პრიორიტეტებს. ამ გზით მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან იმ პრიორიტეტების განსაზღვრაში, რომლებიც აქტუალურია საზოგადოებისთვის“.*

*(გრანტის მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

გარდა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა, დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია სექტორის ექსპერტებისა და პროფესიონალების მონაწილეობაც. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მაგალითზე გამოიკვეთა, რომ ხშირია დაგეგმვის ეტაპზე ამავე ცენტრის სოციალური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების ჩართულობა, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას პოტენციური მოსარგებლეების საჭიროებების შესახებ. აღნიშნული მიდგომა დადებითად შეფასდა კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა საგრანტო პროგრამის პრიორიტეტების შემუშავების მიმართულებით არ არის დამკვიდრებული პრაქტიკა და არც ერთი საჯარო უწყების გრანტის გაცემის წესის მოთხოვნა, კვლევაში ჩართული ორგანიზაციების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ უნდა შეიქმნას გარკვეული მონაწილეობითი პლატფორმა/მექანიზმი, ვინაიდან ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის გამჭვირვალობის გაზრდას და ექსპერტიზისა და გამოცდილების გაზიარებას ორგანიზაციებისა და სპეციალისტების მხრიდან.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ გრანტების გაცემის დაგეგმვის ეტაპზე ყველა უწყებას სრულად აქვს დაცული სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და, შესაბამისად, წინასწარ არის განსაზღვრული განაცხადის წარდგენისთვის საჭირო პროცედურები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვადები, შეფასების კრიტერიუმები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. გარდა ამისა, თითოეულ ინსტიტუტს აქვს გრანტის გაცემის ადმინისტრირებისთვის საჭირო ორგანო - სამდივნო/საბჭო/კომისია, რომელიც უზრუნველყოფს გრანტების გაცემისთვის ყველა საჭირო პროცედურის შესრულებასა და დაცვას.

განაცხადის წარდგენისთვის საჭირო პროცედურები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვადები, შეფასების კრიტერიუმები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსხვავდება საგრანტო კონკურსის შინაარსისა და საჯარო ინსტიტუტის მიზნების შესაბამისად. განსხვავებულია შეფასების კრიტერიუმებიც და განაცხადის მიღების ვადებიც. სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმებში მოიცავს ისეთ კომპონენტს (მაგ. პროექტის კომერციალიზაციის პოტენციალი), რომელიც სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მაგალითზე არ გვხვდება. ეს განსხვავება გამოწვეულია საგრანტო კონკურსის შინაარსიდან და მიზნობრიობიდან გამომდინარე.

## 2. საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის პროცესი

სახელმწიფო გრანტების სისტემის მონიტორინგის მომდევნო მნიშვნელოვანი ნაწილია საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის პროცესი. ამ ეტაპზე ხდება საგრანტო კონკურსის გამოცხადება, ინფორმაციის გა-

ვრცელება, განაცხადების მიღება და გამარჯვებულთა შერჩევა. ამ ეტაპის კვლევისას ყურადღება გამახვილდა გრანტის გამცემი ინსტიტუტის შესაბამის სამართლებრივ აქტში გრანტების გაცემის პროცედურებზე და მასთან შესაბამისობის კუთხით შეფასდა პროცესის ჯეროვნად წარმართვა.

## 2.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ეფუძნება სამაგიდო კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნას. წყაროდ გამოყენებულია კვლევის ფარგლებში შესწავლილი საჯარო დაწესებულებების გრანტის გაცემის წესი. აღსანიშნავია, რომ სამაგიდო კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაზუსტდა თვისობრივი კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით.

საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება ყველა შესწავლილი უწყების შემთხვევაში გაწერილია გრანტის გამცემი ინსტიტუტების შესაბამის სამართლებრივ აქტებში. ინფორმაციის გავრცელების ძირითადი სავალდებულო საშუალება გულისხმობს საჯარო ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდს, ხოლო დამატებითი საშუალებები გულისხმობს სოციალურ მედიას, განცხადებების გამოქვეყნების სხვადასხვა ვებგვერდს (მაგ. Jobs.ge; HR.ge), რომელთა შორისაა რეგიონალური პორტალებიც. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მაგალითზე, ინფორმაციის გავრცელების ძირითადი წყაროების გარდა, ინფორმაციის განთავსება ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების ელექტრონული ცნობარის გამოყენებით (https://csogeorgia.org/), რომლის ძირითადი მომხმარებლები სწორედ ა(ა)იპ-ები არიან. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში ინფორმაციის გავრცელება ხდება როგორც სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით (http://procurement.gov.ge/), ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ და სხვა საინფორმაციო ვებგვერდებზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების პრაქტიკა სავალდებულოა მხოლოდ აღნიშნული საჯარო დაწესებულებისთვის. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ინფორმაციის ფართოდ გავრცელების მიზნით, საჯარო დაწესებულებამ მიმართა სატელევიზიო განცხადებას. 2017 წელს ამ პრაქ-

ტიკას იყენებდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, რეინტეგრაციის მიზნით გამოცხადებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში.

გარდა ტრადიციული და ონლაინ მედია საშუალებებისა, ზოგიერთი საჯარო დაწესებულება მიმართავს საჯარო შეხვედრების პრაქტიკას. სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით აწყობს რეგიონალურ ტურს საქართველოს მასშტაბით, რომლის ფარგლებშიც რეგიონულ ცენტრებში ეწყობა შეხვედრები დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

*„მსგავსი შეხვედრები ჩატარდა საქართველოს რეგიონებში, სადაც პირადად შევხვდით დაინტერესებულ ორგანიზაციებს, ავუხსენით პროგრამის მიზნები და ამოცანები, გავაცანით შეფასების კრიტერიუმები და მაქსიმალურად განვუმარტეთ განაცხადის შემოტანის პროცედურები. ასეთი შეხვედრა კარგი საშუალებაა რეგიონული ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მისაწვდენად, რომელთაც სხვა შემთხვევაში შესაძლოა ვერ მოახერხონ ინფორმაციის მოძიება. “*

*(სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის წარმომადგენელი)*

ინფორმაციის გავრცელების საშუალებების გამოყენება დადებითად შეფასდა კვლევის მონაწილე ორგანიზაციების მხრიდან. როგორც მათთან საუბრისას აღინიშნა, ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტური გზა ოფიციალური ვებპორტალისა და სოციალური მედიის გამოყენებაა.

კვლევის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ამომწურავი იყო გავრცელებული ინფორმაცია. ასევე, ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია: განაცხადისა და ბიუჯეტის შევსების ფორმა, კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, განაცხადების შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, გასაჩივრების მექანიზმი და ვადები. კვლევის მონაწილეების თქმით, წინასწარ განსაზღვრული ვადები სრულიად საკმარისი

აღმოჩნდა განაცხადის მოსამზადებლად და საჭირო დოკუმენტაციის წარსადგენად. მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტით დადგენილი მინიმალური ვადები პრაქტიკაში გახანგრძლივებულია და მერყეობს ორი კვირიდან ერთ თვემდე, რაც კვლევაში გამოხატული ზოგადი შეფასებით ადეკვატურად განსაზღვრული ვადაა.

ცხრილი 4: გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული საგრანტო განაცხადის შეტანის მინიმალური ვადები

| საჯარო დაწესებულება | გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული საგრანტო განაცხადების შეტანის მინიმალური ვადა |
|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge | არანაკლებ 5 სამუშაო დღისა |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო www.moh.gov.ge | არ არის განსაზღვული მინიმალური ვადა |
| სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge | არ არის განსაზღვული მინიმალური ვადა |
| სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი www.rustaveli.org.ge | არ არის განსაზღვული მინიმალური ვადა |
| სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი www.electionreforms.ge/ | არანაკლებ 10 სამუშაო დღისა |
| სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge/ | მუდმივად მიმდინარე |
| სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი www.fondi.gov.ge | არ არის განსაზღვული მინიმალური ვადა |

კვლევის ამ ეტაპზე გამოვლინდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული მხარეებისათვის კონსულტაციის სავალდებულოობა არ არის დადგენილი გრანტის გაცემის არც ერთი წესით, დამატებითი კითხვების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება კონსულტაციების რამდენიმე საშუალებას იყენებს. აღნიშნული მოიცავს: კომუნიკაციას ელფოსტის საშუალებით, სატელეფონო კონსულტაციას და მიღების საათებს. გარდა ამისა, ცალკეულ

შემთხვევებში, საჯარო უწყება (სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი; სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი) მიმართავს საჯარო პრეზენტაციას და/ან ღია კარის დღეს, როდესაც ხდება საგრანტო კონკურსის წარდგენა და პროცედურების განხილვა. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების თანახმად, დამატებითი ინფორმაციის მიღების აღნიშნული გზების გამოყენებისას არანაირი წინააღმდეგობა არ წარმოქმნილა.

## 2.2. საგრანტო განაცხადების მიღება

საგრანტო განაცხადების მიღების შესახებ დამუშავებული ინფორმაცია ეფუძნება სამაგიდო კვლევის შედეგებს, კერძოდ, გრანტის გაცემის წესის ანალიზსა და ვებგვერდების შესწავლას. აღსანიშნავია, რომ სამაგიდო კვლევის შედეგად მიღბული ინფორმაცია დაზუსტდა თვისობრივი კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით.

საკონკურსო განაცხადების და დოკუმენტების წარდგენის რამდენიმე გზა არსებობს. უმეტეს შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადების წარდგენა ხდება ელექტრონულად, საჯარო უწყების მიერ შექმნილი სპეციალური პორტალის ან ვებ-გვერდის გამოყენებით. ამ კუთხით, თითოეული საჯარო დაწესებულება განსხვავებულ შიდა თუ გარე პორტალს იყენებს. მაგალითად, სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო განაცხადებს იღებს მხოლოდ შიდა პორტალის საშუალებით. მსგავსი სისტემა აქვს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსაც, რომელიც საკონკურსო განაცხადების მისაღებად იყენებს გრანტების მართვის ერთიან სისტემას (GMUS). სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიც ამჟამად შიდა ელექტრონული სისტემით იღებს საგრანტო განაცხადებს, თუმცა 2017 წელს განაცხადებს ელექტრონული ფოსტით იღებდა.

განსხვავებული პრაქტიკა გვხვდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში, რომელიც საკონკურსო განაცხადებისთვის იყენებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას, რომელიც სამინისტროს შიდა პორტალს არ წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს სისტე-

მა 2017 წელს დაინერგა და მისი გამოყენება სავალდებულოა. 2017 წლამდე განაცხადები მიიღებოდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით. საჯარო ინსტიტუტის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული სისტემა მაქსიმალურად უზრუნველყოფს მონაწილეთა ანონიმურობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ობიექტურობის გაუმჯობესებას. საგრანტო პროგრამის ადმინისტრირების ორგანო საკონკურსო ვადის დასრულებამდე ვერ ადგენს კონკურსში მონაწილე სუბიექტის ვინაობას და, შესაბამისად, არ აქვს წვდომა მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან. ამრიგად, კონკურსის ვადის ამოწურვამდე ინფორმაცია მონაწილეებისა და მათ მიერ შემოტანილი განაცხადის შესახებ რჩება ანონიმური.

ამ მხრივ განსხვავებულ მიდგომას იყენებს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, სადაც საკონკურსო განაცხადების წარდგენა ხდება ფიზიკურად. წერილობით დოკუმენტაციას თან ახლავს ელექტრონული დოკუმენტაცია, რომელიც კონკურსში მონაწილე ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს ცენტრის სამდივნოში. კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ მსგავსი მიდგომა არცთუ ისე მოქნილია და გარკვეულ წინააღმდეგობას უქმნის კონკურსში მონაწილე ა(ა)იპ-ებს. მათი თქმით, ელექტრონული სისტემის გამოყენება ბევრად უფრო სწრაფი, მოქნილი და ეკოლოგიურად გამართლებული მეთოდია, რომელიც განმცხადებელს ეხმარება სრულად წარადგინოს საჭირო დოკუმენტაცია და გაგზავნის მომენტისთანავე მიიღოს დასტური განაცხადის ჩაბარებაზე. გარდა ამისა, განაცხადის ფიზიკურად წარდგენის გზა მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის რეგიონალური ორგანიზაციებისთვის, რომელთაც, დისტანციიდან გამომდინარე, დამატებითი დრო სჭირდებათ დედაქალაქში ჩამოსასვლელად და სამდივნოში განაცხადის ჩასაბარებლად. გარდა ამისა, ამ მიდგომის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე ისიცაა, რომ საჯარო ინსტიტუტის წარმომადგენლებს უწევთ დოკუმენტაციის მატერიალური ფორმით დაარქივება, რაც დიდი ფიზიკურ სივრცესა და დროს მოითხოვს.

## ცხრილი 5: საგრანტო განაცხადების მიღების ფორმები

| 2017 წელს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება | საგრანტო განაცხადების მიღების ფორმა 2017 წლის მდგომარეობით | კომენტარი |
|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | www.tenders.procurement.gov.ge; | 2017 წლიდან განაცხადები მიიღება მხოლოდ ელექტრონული პორტალის საშუალებით, ნაცვლად ელექტრონული ფოსტისა; ელ-სისტემის საშუალებით შესაძლებელია სტუმრის სტატუსით კონკურსის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | დალუქული კონვერტის სახით | დალუქული კონვერტი იხსნება საგრანტო კომიტეტის სხდომაზე |
| სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | იმეილი | 2017 წელს მხოლოდ იმეილით იღებდნენ განაცხადებს; ამჟამად სატესტო რეჟიმში მუშაობს ელექტრონული პორტალი http://competitions.tpdc.ge |
| სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | www.gmus.rustaveli.org.ge | |
| სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი | დალუქული კონვერტის სახით დისკთან ერთად | განაცხადის ჩაბარებისას იხსნება კონვერტი, მოწმდება ძირითადი დოკუმენტაცია |
| სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო | www.grants.gov.ge | |
| სსიპ ბავშთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი | www.fondi.gov.ge | საგრანტო კონკურსის მიმდინარეობისას ელექტრონული სააპლიკაციო ფორმა იხსნება |

## 2.3. შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირება

შემფასებელი ორგანოს ფორმირების საკითხზე არსებული მიგნებები ეფუძნება დოკუმენტურ ანალიზს, კერძოდ, თითოეული საჯარო ინსტიტუტის გრანტის გაცემის წესის შესწავლას. აღნიშნულიც, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, შედარდა თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან.

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ყველა შემთხვევაში ითვალისწინებს შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირების ვალდებულებას. შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირების დროს სრულად იყო დაცული შესაბამისი სამართლებრივი აქტით/გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებული მოთხოვნები. კომისიის ფორმირების საკითხზე სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული განსხვავებული მიდგომა არსებობს.

სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების საგენტოს შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარე მინისტრთან შეთანხმებით ქმნის საგრანტო საბჭოს. საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან იურიდიული პირის წარმომადგენელი და უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სააგენტოს თანამშრომელი ან პოლიტიკური პარტიის წევრი. საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სათათბირო ხმის უფლებით შესაბამისი დარგის ექსპერტების მოწვევის შესახებ, რომელთა რაოდენობაც უნდა იყოს ლუწი. ასევე, გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს ძირითად პრინციპებსა და უფლებამოსილებას.
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღებისა და განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის მიზნით მინისტრი ქმნის საგრანტო საბჭოს. საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი ან უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი.
ყოფილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს მსგავსად, საგრანტო კომისია იქმნება მინისტრის

მიერ და მისი წევრი შეიძლება იყოს სამინისტროს სისტემის მოსამსახურე, ან/და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, ან/და სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენელი.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შემთხვევაში, საგრანტო კომისია იქმნება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სხვა შესწავლილი უწყებებისგან განსხვავებით, კომიისის წევრთა შემადგენლობა დაკონკრეტებული არ არის.

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის შემთხვევაში, საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი ცესკოს თანხმობით. კომისიაში გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ წევრად შეიძლება მოწვეულ იქნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის, აკადემიური სექტორის, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები (გარდა ცესკოს წევრებისა), სახაზინო/საბიუჯეტო დაწესებულებების კომისიის წარმომადგენლები. გარდა ამისა, კომისიის შემადგენლობაში  სათათბირო ხმის უფლებით მიწვეული უნდა იქნეს, სულ მცირე სამი საერთაშორისო ორგანიზაციის ან შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური ფონდის წარმომადგენელი.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი საგრანტო განაცხადებს აფასებს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. მათი შემადგნელობა კონფიდენციალურია და კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდება დამატებითი ინფორმაციის მოძიება შემფასებელი კომისიის ფორმირების საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდს, პროექტების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის საკითხს წყვეტს სათათბირო ორგანო, რომელსაც 2017 წელს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი.

როგორც გამოიკვეთა, ცალკეულ შემთხვევებში, ხშირია საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა, სექტორის პროფესიონალებისა და ექსპერტების ჩართულობაც. აღნიშნული პრაქტიკა კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მხრი-

დან ერთხმად შეფასდა, როგორც ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სანდოობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი.

### ცხრილი 6: საგრანტო კომისიის წევრთა შემადგენლობა

| საჯარო დაწესებულება | საგრანტო კომისიის მინიმალური შემადგენობა 2017 წელს მოქმედი რეგულირების მიხედვით | საგრანტო კომისიის შემადგენლობა 2017 წლის პრაქტიკის მიხედვით |
|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge | სულ მცირე, 5 წევრი | 7 წევრი; მათ შორის 5 -გრანტის გამცემი ან მას დაქვემდებარებული საჯარო უწყებიდან, 1 - სხვა საჯარო დაწესებულებიდან და 1 - უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციიდან |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო www.moh.gov.ge | არ არის დადგენილი მინიმალური რაოდენობა | 7 წევრი; მათ შორის გრანტის გამცემის 6 წარმომადგენელი და 1 წევრი საერთაშორისო ორგანიზაციიდან |
| სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge | სულ მცირე, 3 წევრი | 10 წევრი; წევრების ვინაობის/ თანამდებობების შესახებ ინფორმაცია არ გასაჯაროვდა |
| სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდ www.rustaveli.org.ge | არ არის დადგენილი მინიმალური რაოდენობა | არ გაასაჯაროვეს ინფორმაცია |
| სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი www.electionreforms.ge | სულ მცირე, 5 წევრი | 9 წევრი; არც ერთი მათგანი არ არის გრანტის გამცემის წარმომადგენელი; |

| | | |
|---|---|---|
| სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge | სულ მცირე, 3 წევრი | 11 წევრი; მათ შორის 9 წევრი გრანტის გამცემი ან მას დაქვემდებარებული უწყებიდან; 2 მოწვეული წევრი კომერციული ორგანიაციიდან |
| სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი www.fondi.gov.ge | 9 წევრი | 9 წევრი; სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, ბავშთა და ახალგაზრდული კავშირების სამი წარმომადგენელი, 2 წარმომადგენელი სამინისტროდან, 3 - ფონდიდან |

შემფასებელი ორგანოს შემადგენლობის საჯაროდ გამოქვეყნების საკითხი განისაზღვრება გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მოსაზრებით, საბჭოს შემადგენლობის საჯაროდ გამოქვეყნება მნიშვნელოვანი ნაწილია პროცესის გამჭვირვალობისთვის. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს ამ ინფორმაციის გამოქვეყნების პერიოდულობა. მონაწილეთა თქმით, საგრანტო კონკურსის გამოცხადებისთანავე საბჭოს შემადგენლობის საჯაროდ გამოქვეყნება შესაძლოა რისკის შემცველი აღმოჩნდეს, ვინაიდან პოტენციურმა მონაწილეებმა შესაძლოა არამიზნობრივად გამოიყენონ ეს ინფორმაცია.

საგრანტო განაცხადების შემფასებელთა ვინაობას წინასწარ საჯაროდ აქვეყნებს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. ოფიციალური წესით გამოთხოვის შემდეგ ინფორმაცია სრულად გაასაჯაროვეს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა, სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. მხოლოდ თანამდებობის პირების ჩამონათვალი გაასაჯაროვა, დანარჩენების კი დალუქა სსიპ მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ხოლო სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა შემფასებლების მონაცემები, მათ შორის სახელი და თანამდებობა, კონფიდენციალურად განსაზღვრა.

*„ერთი მხრივ, ძალიან კარგია საბჭოს შემადგენლობის საჯაროდ გამოქვეყნება. ეს ფაქტი ზრდის ჩვენს [იგულისხმება არასამთავრობო სექტორი] სანდოობას პროცესის მიმართ. დადებითია ის, რომ შეგვიძლია ვნახოთ, თუ ვინ შეაფასა განაცხადი, რომელი სექტორისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენელმა. თუმცა, ამის გამოქვეყნება სასურველია პროცესის დასასრულს და არა დასაწყისში. ჩვენი ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლოა ზოგიერთმა მონაწილემ ისე გამოიყენოს ეს ინფორმაცია, როგორც არ არის მიზანშეწონილი პროცესისთვის. მაგალითად, შეეცადოს გარიგების წარმოებას საბჭოს წევრთან, გამოიყენოს პირადი კონტაქტები და ა.შ.“*

*(სახელმწიფო გრანტის მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

აღსანიშნავია, რომ ყველა შესწავლილი უწყების გრანტის გაცემის მარეგულირებელი აქტით რეგულირდება განაცხადების შემფასებელი ორგანოს წევრების ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. ზედმიწევნითაა გაწერილი, ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის შემთხვევაში, როგორ უნდა განხორციელდეს თვითაცილებისა და კანდიდატურის მოხსნის პროცედურა. ინტერესთა კონფლიქტის გამო თვითაცილების პრაქტიკა გამოვლენილ იქნა ორჯერ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, თუმცა საფუძველი არ არის ნათლად განმარტებული, ასევე არ დგინდება, ერთსა და იმავე წევრს ეხება თუ არა ინტერესთა კონფლიქტი.

## 3. საკონკურსო განაცხადების შეფასება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

ამ ქვეთავში მოცემული მიგნებები ეფუძნება დოკუმენტურ ანალიზსა და საჯარო ინფორმაციის შედეგად მიღებული სხდომის ოქმების შესწავლას. განაცხადების შესახებ  საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საკითხის

განხილვა განხორციელდა ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას, რამაც ხელი შეუწყო დასკვნის გადამოწმებას და განმტკიცებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა შემთხვევაში იყო განსაზღვრული და გამოქვეყნებული განაცხადის შეფასების კრიტერიუმები. კვლევის მონაწილეთა განმარტებით, კრიტერიუმების წინასწარ გამოქვეყნება ხელს უწყობს მონაწილე ორგანიზაციებს, გააუმჯობესონ განაცხადის ხარისხი. გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით, ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულია განაცხადში ხარვეზის შევსების/გამოსწორების წესები. განაცხადის მიღების შემდეგ საგრანტო პროგრამის ადმინისტრირების ორგანო (საბჭო/სამდივნო/აპარატი) ამოწმებს განაცხადების ხარისხს და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უკავშირდება განმცხადებელ ორგანიზაციას, რათა გარკვეული ვადის ფარგლებში (2-5 სამუშაო დღე) აღმოფხვრას ხარვეზი. იმ ორგანიზაციების მოსაზრებით, რომელთაც ჰქონიათ მსგავსი გამოცდილება, გაწერილი დრო სრულიად საკმარისია ხარვეზის აღმოსაფხვრელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განმცხადებელს უწევს ხარვეზის შევსების მიზნით დოკუმენტაციის ფიზიკურად წარდგენა. ეს ვრცელდება იმ საჯარო დაწესებულებებზე, რომლებიც განაცხადების მიღებას ახორციელებენ ფიზიკური და არა ელექტრონული ფორმით.

განაცხადების შეფასებისას ყველა საჯარო უწყება იყენებს ქულათა სისტემას, გარდა სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსი, რომელიც ხმის მიცემით წყვეტს განაცხადების დაფინანსების საკითხს. ყველა შესწავლილი უწყების მაგალითზე, საბჭოს გადაწყვეტილების დოკუმენტური გაფორმება ხდება ოქმის სახით, რომელიც, უწყების პრაქტიკისა და რეგულაციების შესაბამისად (მაგ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი), ქვეყნდება საჯარო ინფორმაციის სახით. მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილია საკითხები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ოქმი. ეს მოთხოვნები ყველა უწყების შემთხვევაში სრულად დაცულია. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების კომენტარის სახით დასაბუთება არც ერთ შემთხვევაში არ არის მოთხოვნილი საკანონმდებლო აქტით. მიუხედავად იმისა, რომ შემფასებლებს აქვთ საშუალება, მინიჭებულ ქულასთან ერთად მცირე განმარტებაც დაურთონ თან, ამ მექანიზმს ნაკლებად იყენებენ პრაქტიკაში. იმ ორგანიზაციების დაკვირვებით, რომელთაც

2017 წელს კონკურსში მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ დაფინანსება ვერ მოიპოვეს, გამოქვეყნებული ოქმები სრულად არ ასახავს გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. მონაწილეთა ნაწილის განცხადებით, სასურველი იქნება, თუ თითოეულ კრიტერიუმს და მისთვის მინიჭებულ ქულას და/ან დადებით-უარყოფით შეფასებას დაემატება ნარატიული განმარტებაც, რათა შეფასება უფრო გაზომვადი და განჭვრეტადი გახდეს.

ცხრილი 7: საგრანტო განაცხადების შეფასების მექანიზმი

| საჯარო დაწესებულება | საგრანტო განაცხადების განხილვის ვადა | გადაწყვეტილების მიღების წესი/ საშუალო ქულის ბარიერი |
|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge | 10 სამუშაო დღე | საშუალო არითმეტიკული/თუ ნაკლებია 50 ქულაზე, შესაძლებელია განაცხადის უარყოფა |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო www.moh.gov.ge | 15 სამუშაო დღე | ქულათა სისტემით/არ არის მინიმალური ქულა დადგენილი |
| სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge | 15 კალენდარული დღე | სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge 15 კალენდარული დღე მინიმუმ 24 ქულა მაქსიმალური 33 ქულიდან; სულ მცირე 15 ქულა მაქსიმალური 30 ქულიდან |
| სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდ www.rustaveli.org.ge | არ არის განსაზღვრული | მინიმუმ 33 ქულა მაქსიმალური 55 ქულიდან (განსხვავებულია კონკურსის მიხედვით) |

| | | |
|---|---|---|
| სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge | 90 კალენდარული დღე | დამსწრეთა ხმათა უმრავლესობა |
| სსიპ გავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი www.fondi.gov.ge | არ არის განსაზღვრული | საშუალო არითმეტიკული/მაქსიმალური 100 ქულა; თავდაპირველად დადგენილი იყო მინიმალური 40 ქულა, რომელიც, სათათბიროს გადაწვეტილებით, გაიზარდა 70 ქულამდე |

საგრანტო კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება გრანტის გამცემი უწყების ოფიცილაური ვებგვერდის საშუალებით, გამარჯვებული პროექტის შესახებ ზოგადი ინფორამციის მითითებით.

## 3.1. გასაჩივრების მექანიზმი

კვლევის ამ ეტაპზე ყურადღება გამახვილდა გასაჩივრების შიდა და გარე მექანიზმის გამოყენების საკითხზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გრანტის გამცემის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ) გასაჩივრების ვადა შეადგენს 30 დღეს. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს შიდა გასაჩივრების მექანიზმი - განაცხადის შედეგის გასაჩივრება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და გარე მექანიზმი - განაცხადის შედეგის გასაჩივრება სასამართლოში.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის წესში, გარდა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა ეროვნული ცენტრისა, ნათლადაა განმარტებული გასაჩივრების მექანიზმები კონკურსის მონაწილეებისთვის, თუმცა, ორგანიზაციების განცხადებით, აღნიშნულ მექანიზმს იშვიათად ან თითქმის არ მიმართავენ. მათი თქმით, ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული პროცედურები

დროში გაწელილია და დამატებით რესურსს საჭიროებს. ამრიგად, მონაწილეები ხშირად თავს არიდებენ ამ მექანიზმით სარგებლობას.

*„მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რამდენჯერმე ვიღებდით მონაწილეობას კონკურსში და მოვახერხეთ წარმატებით მოგვეპოვებინა გრანტი. დანარჩენ შემთხვევებში, შეგვეძლო მიგვემართა გასაჩივრებისთვის, თუმცა, გადავწყვიტეთ, რომ მაინც არ გვეცადა. ამის მიზეზი ძირითადად პროცესთან დაკავშირებული ბიუროკრატიაა. ძალიან დიდი დრო და ორგანიზაციის მხრიდან დამატებითი რესურსი დასჭირდებოდა.“*

*(საგრანტო კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

რაც შეეხება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, მათი საგრანტო კონკურსის დებულება არ ითვალისწინებს გასაჩივრების პროცედურას და გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში საგრანტო ხელშეკრულების დადების ვალდებულებას განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნული ზოგადი ნორმა ადმინისტრაციულ კოდექსში მაინც მოქმედებს და დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, შესაბამისი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, საგრანტო ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრული ვადა კანონთან შესაბამისი არაა.

კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების წესისგან დამატებით განსხვავებულ პირობას შეიცავს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც გასაჩივრების შემთხვევაში არ ჩერდება აქტის მოქმედება და გრანტის მიმღები უფლებამოსილია, გააფორმოს ხელშეკრულება. აღნიშნული ჩანაწერი ქმნის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი რეგულირება ემსახურება გრანტის გაცემის პროცესის ეფექტურობის ხარისხის გაუმჯობესებას, რათა დროში არ გაჭიანურდეს და საფრთხე არ შეექმნას საგრანტო პროგრამის მიზნების დროულ შესრულებას, მნიშვნელოვანია, ამ საკითხის რეგულირება მოხდეს საკანონმდებლო დონეზე, რაც, პირველ რიგში, „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებებს გულისხმობს.

## 4. საჯარო ინსტიტუტის მიერ საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

ამ ეტაპზე, მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდა, თუ რა მექანიზმებით აფასებს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება მის მიერ გაცემული გრანტის განხორციელებას. ამ კუთხით, ძირითადი მიგნებები ეფუძნება როგორც დოკუმენტურ ანალიზს, მათ შორის გრანტის მიმღებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, ისე ინტერვიუების და ფოკუსჯგუფების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას.
გრანტის გამცემ ყველა საჯარო ინსტიტუტს გრანტის განხორციელებასა და მონიტორინგთან დაკავშირებით სხვადასხვა პროცედურა აქვს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილი გრანტის გამცემი ყველა უწყება აფასებს გაცემული გრანტის განხორციელების შესაბამისობას გაცემის მიზნობრიობასა და დაგეგმილ აქტივობებთან. აღნიშნული შეფასება მოიცავს მონიტორინგისა და ანგარიშგების (პროგრამულ და შინაარსობრივ) კომპონენტებს.

გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ყველა უწყებას აქვს ხელშეკრულების დადების ვალდებულება, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და ანგარიშგების პერიოდულობა და ფორმა. ხელშეკრულებითვე რეგულირდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების მექანიზმები: შუალედური და საბოლოო პროგრამული ანგარიშები, ფინანსური ანგარიში და ცალკეულ შემთხვევებში აუდიტის დასკვნაც. მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება, გრანტის გაცემის მარეგულირებელი წესით, ყველა შესწავლილ უწყებას აქვს. მონიტორინგის განხორციელების თვალსაზრისით განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. საჯარო ინსტიტუტები მონიტორინგს ახორციელებენ წინასწარ გაწერილი მეთოდოლოგიისა და დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, რაც აღნიშნულია გრანტის მიმღებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და შეთანხმებულია მხარეების მიერ. მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს სატელეფონო კომუნიკაციას, საველე ვიზიტებს და ღონისძიებებზე დასწრებას. საველე ვიზიტები, ჩვეულებრივ, ხორციელდება გრანტის მიმღებ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე და წინასწარ შედგენილი გრაფიკით. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს, სსიპ მასწა-

ვლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა ყოფილ სამინისტროს აქვთ პროექტის მონიტორინგის დოკუმენტურად დადასტურებული ანგარიშები. სხვა უწყებების შემთხვევაში გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი მხარეებს შორის, რაც ადასტურებს შესრულებულ სამუშაოს. ამ უწყებების შემთხვევაში არ არსებობს გრანტის გამცემის მიერ პროექტის აქტივობების მონიტორინგის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილია მხოლოდ გრანტის მიმღების მიერ სამუშაოს შესრულების ანგარიშები და გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები.

მონიტორინგის პერიოდულობა ყველა უწყების შემთხვევაში სხვადასხვაა - ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება კვარტალური, ყოველთვიური და ყოველკვირეული ანგარიშები. ყოველკვირეული მონიტორინგის პრაქტიკას მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო[5]. როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, ამ კუთხით გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. მათი ნაწილის აზრით, ინტენსიური მონიტორინგი ხელს უწყობს ორგანიზაციების ორგანიზებულობის გაძლიერებასა და პროცესის ეფექტურად მართვას. ორგანიზაციების ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ ინტენსიური ანგარიშგება გრანტის მიმღების მხრიდან დიდ ადმინისტრაციულ რესურსსა და დროს მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოყენებულ იქნას უფრო ეფექტურად პროგრამული აქტივობების განსახორციელებლად.

*„ანგარიშგების ინტენსიურობა, გარკვეულწილად, ეხმარება პროექტის მენეჯერებს, უკეთ დაგეგმონ და გაწერონ აქტივობები, თუმცა ჩვენს შემთხვევაში ინტენსიური ანგარიშგება ცოტა ხელის შემშლელია, ვინაიდან, იმის ნაცვლად, რომ ველზე მეტი დრო გავატაროთ და პროგრამულ აქტივობებს მივხედოთ, ანგარიშების წერაზე გვიწევს ფიქრი“.*

*(გრანტის მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

[5] 2017 წლის მდგომარეობით, სსიპ - დანაშაულისა პრევენციის ცენტრი მიმართავდა ყოველთვიური ანგარიშგების პრატიკას, თუმცა, შესაბამისის ცვლილებების განხორციელების შედეგად, 2019 წლის მაისის მდგომარეობით იყენებს ანგარიშგების ყოველკვირეულ მექანიზმს.

გარდა მონიტორინგის მექანიზმებისა, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ანგარიშგების ფინანსური და პროგრამული ნაწილი. შუალედური მონიტორინგის გარდა, ორგანიზაციები ვალდებულნი არიან წარადგინონ საბოლოო ანგარიში, რომელიც მოიცავს განხორციელებული პროექტის შედეგებსა და მიღწეულ მიზნებს. არსებული პრაქტიკის მიხედვით, პროგრამულ ანგარიშს თან ახლავს საჭირო დოკუმენტაცია: დასწრების ბლანკი, მონაწილეთა შეფასებები, ფოტო-ვიდეო არქივი, პროგრამის ფარგლებში შექმნილი მასალა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საჯარო ინსტიტუტები, მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ხშირად ახდენენ ინფორმაციის გადამოწმებას ა(ა)იპ-ს მიერ განხორციელებული პროექტის ბენეფიციარებთან სატელეფონო კონსულტაციის გზით, პროგრამის დასრულების შემდეგ - საველე ვიზიტებით და სხვა მსგავსი ღონისძიებებით.

*„საბოლოო ანგარიშებზე დაყრდნობით ვცდილობთ გადავამოწმოთ ინფორმაციის ნამდვილობა და ის, თუ რამდენად მდგრადია პროექტით მიღწეული შედეგი. მაგალითად, ხშირად ვურეკავთ ტრენინგის მონაწილეებს და ვამოწმებთ კმაყოფილების დონეს“*

(*სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი*)

პროგრამული ანგარიშგების პარალელურად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საკითხის შესწავლაც. ამ კუთხით განსხვავებული პრაქტიკა გამოიკვეთა საჯარო უწყებებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებები ფინანსური ანგარიშის კონტროლს და პროექტის თანხების მიზნობრივ ხარჯვას თავად ამოწმებენ და ხშირად არ არსებობს გარე აუდიტის დასკვნა. შესწავლილი საჯარო ინსტიტუტებიდან, გარე აუდიტის ჩატარების პრაქტიკას მიმართავს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი: ფინანსური ანგარიშის კონტროლი ხორციელდება ინსტიტუტის გარეთ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საშუალებით. აღნიშნული პრაქტიკა ორგანიზაციებისა და საჯარო ინსტიტუტების მხრიდან ერთობლივად შეფასდა, როგორც დადებითი პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის ზრდას.

კვლევის მიმდინარეობისას  შეფასდა ბიუჯეტის ათვისების საკითხიც. ზოგადი პრაქტიკის მიხედვით, რომელიც ხელშეკრულებით რეგულირდება, ის თანხა, რომლის  ათვისებაც არ ხდება პროექტის ფარგლებში, ბრუნდება უკან, სახელმწიფო ხაზინაში. მსგავს შემთხვევებში, ზოგიერთი საჯარო უწყება ადგენს ოქმს, რომელიც განმარტავს ცვლილების მიზეზს (ბენეფიციარების ნაკლები რაოდენობის მობილიზება, მომსახურების შეძენა  გათვალისწინებულზე ნაკლებ თანხად და ა.შ.).

კვლევის ამ ეტაპზე საგრანტო პროგრამის ეფექტურობის შეფასების საკითხის განხილვაც მოხდა. საგრანტო პროგრამის ეფექტურობის შეფასება არ არის გრანტის გაცემის მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულება. შესაბამისად,საჯარო ინსტიტუტებს არ აქვთ განხორციელებული  ეფექტურობის შეფასების ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც განსაზღვრავს ზოგადად საგრანტო პროგრამის განხორციელების შედეგად მიღწეულ მიზნებს. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები და საჯარო დაწესებულებები აღნიშნავენ, რომ მსგავსი ტიპის კვლევების განხორციელება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების მოგვარებისა და ამ პროცესში საგრანტო პროგრამის როლის განსაზღვრის კუთხით. მათი აზრით, სასურველია, აღნიშნული ტიპის მოკვლევა განხორციელდეს გარკვეული პერიოდულობით, განსაკუთრებით მუდმივმოქმედი საგრანტო პროგრამის შემთხვევებში.

## 5. ზოგადი მიგნებები

კვლევის პროცესში, ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების ჩატარებისას, გარდა ძირითადი კითხვების განხილვისა, დამატებით წამოიჭრა რამდენიმე საკითხი, რომლებიც უკავშირდება გრანტების გაცემის პროცესის სანდოობის და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებას და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი მიგნებების სახით გაზიარება.

**გრანტის გაცემის ერთიანი ელექტრონული სისტემება:** აღსანიშნავია, რომ თითოეულ საჯარო დაწესებულებას, რომელიც უფლებამოსილია გასცეს სახელმწიფო დაფინანსება, გრანტის გაცემის განსხვავებული პროცედურები აქვს და იყენებს  შესაბამის ელექტრონულ სისტემას, გარდა იმ

გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია ზედა ქვეთავში. თვისობრივი კვლევის პროცესში, ფოკუსჯგუფში წამოჭრილ იქნა გრანტის ადმინისტრირების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვის შესაძლებლობა, იმ მიზნით, რომ გაგვერკვია, მსგავსი მიდგომა ხომ არ გააადვილებდა გრანტების შესახებ ინფორმაციის ერთ სივრცეში განთავსება/მოპოვებას და მისი შემდგომი ადმინისტრირების პროცესს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევაში ჩართული საჯარო დაწესებულებების უმრავლესობა უკვე იყენებს ელექტრონულ სისტემებს (მაგ. განაცხადების მიღების ეტაპზე), რომლებიც თავად გრანტის გამცემის მიერ იქნა შემუშავებული და, შესაბამისად, მორგებულია მათ პროცედურებს. მიუხედავად ამისა, ერთიანი ელექტრონული სისტემის არსებობა, რომელიც მორგებული იქნება თითოეული საჯარო ინსტიტუტის საჭიროებებსა და საგრანტო პროცედურებზე, დადებითად შეფასდა კვლევაში ჩართული ორგანიზაციებისა და საჯარო დაწესებულებების მხრიდან. მათი თქმით, მნიშვნელოვანია პროცესების ციფრულ რეჟიმში წარმართვა, რაც გააუმჯობესებს გამჭვირვალობისა და ეფექტურობის ხარისხს. გარდა ამისა, ერთიანი ელექტრონული სისტემის არსებობა ხელს შეუწყობს საგრანტო კონკურსების ერთ სივრცეში განთავსებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება კონკურსის მონაწილეებზე, ინფორმაციის მოპოვებისა და საგრანტო განაცხადების გადამოწმების კუთხით.

**ბიუჯეტის დაგეგმვა:** კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას საჯარო ინსტიტუტები მიმართავენ ხარჯების (ადმინისტრაციული და პროგრამული) პროცენტული გადანაწილების პრაქტიკას. მაგალითად, ცალკეულ შემთხვევებში, ბიუჯეტის შედგენისას, ადმინისტრაციული ხარჯი (პროექტის მართვისათვის განკუთვნილი ჰონორარები, იჯარა, კომუნალურები და სხვა არაპირდაპირი ხარჯები) არ უნდა აღემატებოდეს საერთო ხარჯის 30 პროცენტს (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო). ამ საკითხზე ორგანიზაციებს არაერთგვაროვანი შეხედულება აქვთ. მათი ნაწილი ფიქრობს, რომ ადმინისტრაციულ ხარჯზე გამოყოფილი თანხა არასაკმარისია კვალიფიციური კადრების დაქირავებისთვის, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი დაყოფა ხელს უწყობს პროგრამული ნაწილისთვის საკმარისი თანხის გადანაწილებას. კვლევის მონაწილე ორგანიზაციებმა

განაცხადეს, რომ საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი თანხა არასაკმარისია პროექტის მდგრადი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა პროექტის ვადებისა და ხანგრძლივობის საკითხიც. ორგანიზაციების აზრით, მოკლევადიანი პროექტები ვერ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარების გრძელვადიან პერსპექტივას.

*„ალბათ, უმჯობესია, შემცირდეს დაფინანსებული პროექტების რაოდენობა და გაიზარდოს ბიუჯეტის ზედა ზღვარი. ამ კუთხით, შესაძლებელი გახდება უფრო ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი პროექტების გაკეთება, რაც მნიშვნელოვანია მდგრადობის კომპონენტის გაძლიერებისთვის“.*

*(გრანტის მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

**სახელმწიფო დაფინანსება და არასამთავრობო სექტორი:** აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში გამოიკვეთა არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების მიმართ. იმ ორგანიზაციების თქმით, რომელთაც მოიპოვეს სახელმწიფო გრანტი, მსგავსი ტიპის შესაძლებლობების განვითარება ხელს უწყობს სამოქალაქო სექტორის განვითარებას. თუმცა, ორგანიზაციების ნაწილი აღნიშნავს, რომ საჯარო ინსტიტუტების მიერ გაცემული გრანტი ნაკლებად მიმზიდველი და პრესტიჟულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემულ გრანტთან შედარებით. მათი თქმით, საერთაშორისო დონორებთან შედარებით, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებული თანხა მცირეა, ხოლო პროექტები - მოკლევადიანი, რაც ხელს უშლის პრობლემის მოგვარების გრძელვადიან პერსპექტივას.

*„საერთაშორისო დონორებთან მუშობა უფრო მიმზიდველი და პრესტიჟულია. ითვლება, რომ ,თუ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის გრანტი მოიპოვე, უფრო გამოცდილი და კვალიფიციური ხარ. ეს შესაძლოა სულაც არ ნიშნავდეს ამას, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ნამდვილად არსებობს“.*

*(ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი )*

გრანტის მიმღები ორგანიზაციების ნაწილი აღნიშნავს, რომ ხშირია პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო გრანტის მიმღები წლების განმავლობაში ერთი და იგივე ორგანიზაციები არიან. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ობიექტურად მოიპოვეს დაფინანსება და სრულიად გამჭვირვალედ მონაწილეობდნენ კონკურსში, ჩნდება დამოკიდებულება, რომ ისინი სახელმწიფო დაწესებულებასთან ასოცირებული სუბიექტები ხდებიან. მეორე მხრივ, საჯარო ინსტიტუტების აზრით, ეს ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ ორგანიზაციების ნაწილი, რომელთაც უკვე გარკვეული გამოცდილება აქვთ, ქმნიან უფრო ხარისხიან განაცხადებს და, შესაბამისად, ახერხებენ სახელმწიფო გრანტის მოპოვებას. თუმცა, ამასთანავე, საჯარო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებით, მეტი ძალისხმევაა საჭირო, რომ ახალბედა და ნაკლებად გამოცდილ ორგანიზაციებსაც მიეცეს განვითარების საშუალება. ორგანიზაციების ნაწილი ამ საკითხის მოგვარების გზას განაცხადის მომზადების ეტაპზე დამატებითი ტრენინგების შეთავაზებაში ხედავს.

# V. რეკომენდაციები

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა  საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტების გაცემის პროცესის გაუმჯობესებას გამჭვირვალობისა და სანდოობის დონის ამაღლების მხრივ. კვლევის ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით, საჯარო ინსტიტუტებისა და პროცესში ჩართული სსიპ-ების გამოცდილების გათვალისწინებით, გამოიკვეთა  რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება, პროცესში ჩართული მონაწილეების აზრით, ხელს შეუწყობს ადმინისტრირების პროცესის, ხარისხის, სანდოობისა და  გამჭვირვალობის გაუმჯობესებას.

**რეკომენდაციები:**

- ღრმა და ყოვლისმომცველი ემპირიული კვლევითი მიმართულების გაძლიერება და მისი შედეგებით გამყარებული საგრანტო პროგრამის ძირითადი მიმართულებების/პრიორიტეტების განსაზღვრა. საგრანტო პროგრამაში აღწერილი პრობლემის დასაბუთებისას, მნიშვნელოვანია, ნათლად იყოს მითითებული შესაბამისი წყარო და პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველი.

- საგრანტო პროგრამის შემუშავებისას მონაწილეობითი მექანიზმის შექმნა სექტორის ექსპერტებისა და პოტენციური მოსარგებლეებისათვის, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სექტორში არსებული ცოდნის გაზიარებას და სამოქალაქო სექტორის მონაწილეობას საგრანტო მიმართულებების სწორად განსაზღვრის პროცესში.

- გრანტის შესახებ ინფორმაციის გამოცხადების პროცესში, გარდა ონლაინ მედია საშუალებებისა, საჯარო პრეზენტაციის ორგანიზება და დაინტერესებული მხარეებისთვის კონსულტაციის სხვადასხვა ფორმატის განსაზღვრა გრანტის გაცემის წესის მიხედვით. გრანტების გაცემის პრაქტიკამ აჩვენა, რომ საჯარო პრეზენტაცია/კონსულტაციის სხვადასხვა მეთოდი

ხელს უწყობს ინფორმირებულობის ზრდას, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებში, რომლებიც პირველად იღებენ კონკურში მონაწილეობას.

- კონკურსში მონაწილე ორგანიზაციების კომპეტენციებისა და შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულების მიერ, მათი სტანდარტების შესაბამისად, დამატებითი ტრენინგების ორგანიზება პროექტის წერასა და ბიუჯეტირებაში. აღნიშნული რეკომენდაცია მნიშვნელოვანია იმ საჯარო ინსტიტუტებისთვის, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის  მხარდაჭერა და კონკურსში მონაწილე  ორგანიზაციების კომპეტენციების გაძლიერება.

- განაცხადების მიღების ელექტრონული სისტემების დანერგვა და გაუმჯობესება. აღნიშნულის გათვალისწინება ხელს შეუწყობს პროცესის ეფექტურ და სწრაფ წარმართვას. იმ შემთხვევებში, როდესაც ელექტრონული სისტემები უკვე არსებობს, მათი დახვეწა და გაუმჯობესება მნიშვნელოვანია ანონიმურობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.

- საგრანტო განაცხადების შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება. ქულათა სისტემის ან სხვა გაზომვადი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება. გარდა რაოდენობრივი შეფასებისა, შინაარსობრივი შეფასების შემოღება/გაუმჯობესება.

- საგრანტო განაცხადების შემფასებელი კომისიის შემადგენლობაში სამოქალაქო სექტორისა და შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გამჭვირვალობისა და სანდოობის ხარისხის გაუმჯობესებას.

- გასაჩივრების მექანიზმის გაუმჯობესება პროცედურების გამარტივებისა და გასაჩივრების ვადების შემცირების გზით. აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლოა საჭიროებდეს ინსტიტუტების საგრანტო პროგრამის მარეგულირებელ აქტებსა და საკანონმდებლო ჩარჩოში ცვლილებების განხორციელებას.

- ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების მექანიზმის გაძლიერება, მათ შორის, შემფასებელი კომისიის შემადგენლობის საჯაროდ გამოქვეყნება, საკონკურსო პროცესის დასრულების შემდგომ.

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა და თითოეული ინსტიტუტის მიერ გაცემული გრანტების შესახებ უწყების ვებგვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების შესაბამისად.

- საჯარო ინფორმაციის გაცემისას ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების დაფარვის უზრუნველყოფა. კვლევის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაცია, ხელშეკრულებები და ანგარიშები შეიცავდა პირადი სახის მონაცემებს, როგორებიცაა: პირადი ნომერი, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით.

- საგრანტო პროგრამების ეფექტურობის შეფასების კვლევის განხორციელება. აღნიშნული რეკომენდაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საჯარო უწყებებისათვის, რომელთაც აქვთ მუდმივმოქმედი საგრანტო პროგრამა. სასურველია, ეფექტურობის კვლევის ჩატარება გარკვეული პერიოდულობით.

- სპეციალური პლატფორმის შექმნა სახელმწიფო გრანტის გამცემი საჯარო უწყებებისათვის, პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართული პირებისა და მენეჯერებისათვის გრანტის გაცემის პროცესში დაგროვებული ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მსგავს პლატფორმას შესაძლოა ჰქონდეს ყოველწლიური ფორუმის, სესიის ან კონგრესის სახე.

# დანართები

*დანართი #1:*

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება
(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ, გვაცნობოთ, არის თუ არა უფლებამოსილი და გასცემს თუ არა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ან/და მისი მმართველობის ქვეშ მოქმედი რომელიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირი არაკომერციულ იურიდიულ პირებზე გრანტებს.

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, შეავსოთ თანდართული ცხრილი (დანართი #1 სამ ფურცლად) და დამატებით უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

1. რამდენი საგრანტო კონკურსი გამოცხადდა 2017 წელს?
2. რამდენი საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წელს?
3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ გრანტის გაცემის წესი და ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, რომლებიც არეგულირებს გრანტის გაცემის პროცესს.
4. რას შეადგენდა 2017 წელს საგრანტო პროექტებისთვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი და რამდენის ათვისება მოხდა 2017 წელს?

აღნიშნული ინფორმაცია, გთხოვთ, მომაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, თანდართული ცხრილი, ასევე, ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მომაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე _____ ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით მისამართზე: _____;

გაცნობებთ, რომ მზად ვარ, გადავიხადო „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

*დანართი 1.1:*

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, გამოყენებული წერილის ნიმუში (გამოთხოვილი დოკუმენტაციის დეტალური ჩამონათვალი).

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ:

1. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 2017 წლის 3 თებერვალს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყველა ბრძანება;
2. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 2017 წლის 31 მაისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყველა ბრძანება;
3. 2017 წლის ყველა საგრანტო პროგრამა და პროგრამაში წერილის მიღების მომენტამდე შეტანილი ცვლილებები (არსებობის შემთხვევაში);
4. ყველა სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი ორგანოს (საბჭო/კომისია) დაფუძნების შესახებ;
5. საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი ორგანოს (საბჭო/კომისია) სხდომის ოქმები;
6. გრანტის გაცემის/საგრანტო კონკურსის ოფიციალური განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია და შეფასების კრიტერიუმები (2017 წელს თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე);
7. საკომუნიკაციო საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც გავრცელდა ინფორმაცია /კონკურსის ოფიციალური განაცხა-

დი (2017 წელს თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე);
8. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი აქტი (2017 წელს თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე);
9. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) სხდომების ოქმები (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე);
10. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) მიერ კონკურსანტების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
11. 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადებული კონკურსების პროცედურებთან და მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრები - საჩივრის ტექსტი, მხარეთა არგუმენტაცია, დავების განმხილველი ორგანოს დასკვნა (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე, არსებობის შემთხვევაში);
12. 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაცემული გრანტების მიმღებებთან დადებული #1, #2, #3, #5, #6, #10, №12. №13, №15, №20, №22, №26, №27, №28, №30, №39, №35 საგრანტო ხელშეკრულებები დანართებით (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);
13. 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაცემული გრანტების მიმღებებთან დადებული №1, №2, №3, №5, №6, №10, №12. №13, №15, №20, №22, №26, №27, №28, №30, №39, №35 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღებების მიერ ჩაბარებული ფინანსური და პროგრამული (ყოველთვიური/შუალედური და საბოლოო) ანგარიშები და მიღება-ჩაბარების აქტები
(თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);
14. ამავე ხელშეკრულებების ან/და 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაცემული გრანტების აუდიტი და დასკვნა (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);
15. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული გრანტების განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგია (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);

16. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული გრანტების განხორციელების მონიტორინგის დასკვნები (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);
17. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული გრანტების დაფინანსების ცვლილების ან შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისი გადაწყვეტილებები (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);
18. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული გრანტების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);
19. 2017 წლის საგრანტო პროგრამის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ამასთან, კვლევის ეფექტურად ჩატარების მიზნით, გვსურს შევხვდეთ საგრანტო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირს. გთხოვთ, მოგვაწოდოთ მისი საკონტაქტო ინფორმაცია.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-მუხლის თანახმად, გთხოვთ, ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მომაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე _____ ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით მისამართზე: _____;

გაცნობებთ, რომ მზად ვარ გადავიხადო „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

*დანართი #2:*

სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგი

**თანხმობის ფორმა**

„სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგს“ ახორციელებს ა(ა)იპ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ ა(ა)იპ „კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში“ და ევროპის გაერთიანებას შორის გაფორმებული #ENI/2016/381-129 საგრანტო ხელშეკრულების (პროექტი: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“) ფარგლებში.

კვლევის პროცესში ღირებული ცოდნის შესაქმნელად დაგეგმილია ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების სერიის ჩატარება. ინტერვიუს ხანგრძლივობა მოიცავს 45-55 წუთს. მის დაწყებამდე რესპოდენტები გაეცნობიან კვლევის მიზნებს და სურვილის შემთხვევაში, თანხმობის ფორმის საფუძველზე, დაადასტურებენ მონაწილეობას. თანხმობის ფორმა მოიცავს ინფორმაციას კვლევის ამოცანებზე და შედეგების გამოყენებაზე. ინტერვიუს მიმდინარეობისას მოხდება ხმის ჩაწერა, რესპოდენტ(ებ)ის თანხმობის გათვალისწინებით.

რესპოდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს (ინტერვიუს მიმდინარეობისას ან მის შემდეგ) შეწყვიტოს და უარი განაცხადოს კვლევაში შემდგომ მონაწილეობაზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

- კვლევის დროს მიღებული ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია;
- კვლევის გამოქვეყნებისას რესპოდენტის სახელები არ იქნება ნახსენები;
- რესპოდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნება ანგარიშის სახით.

ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ვადასტურებ კვლევაში მონაწილეობას და ვამოწმებ ხელმოწერით:

რესპოდენტის სახელი: _____ თარიღი: _____

ხელმოწერა _____

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე. მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის!

საკონტაქტო ინფორმაცია:

*დანართი #3:*

ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი
(გრანტის გამცემი უწყების წარმომადგენელი)

| | |
|---|---|
| ინტერვიუს თარიღი: | |
| გრანტის გამცემი სახელმწიფო სტრუქტურა: | |
| რესპოდენტის პოზიცია: | |

**პროცესის დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ:**

√რესპოდენტი ინფორმირებულია ინტერვიუს მიზნების, დროისა და ადგილის შესახებ;

√რესპოდენტი აცხადებს (წერილობით) თანხმობას კვლევაში ჩართვაზე;

√ შეარჩიეთ წყნარი ადგილი და მოსახერხებელი დრო ინტერვიუსთვის;

√მოამზადეთ დიქტოფონი, შეამოწმეთ და თან იქონიეთ დამატებითი ელემენტები;

√ ინტერვიუს დაწყებამდე მოამზადეთ ფურცელი და კალამი კომენტარების მოსანიშნად.

**პროცესის მიმდინარეობისას, ყურადღება მიაქციეთ:**

√არავერბალურ ნიშნებს, ემოციებსა და ჟესტიკულაციას;

√ინტერვიუს დაწყებამდე გაეცანით რესპოდენტს და საშუალება მიეცით თავი კომფორტულად იგრძნოს. ეს დაგეხმარებათ ნდობის მოპოვებაში;

√ჩაუღრმავდით შეკითხვებს; გამოიყენეთ ფრაზები: „შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი; იქნებ უფრო დეტალურად აღწეროთ“; და ა.შ);

√საჭიროების შემთხვევაში კითხვა დააკონკრეტეთ, ხოლო პერიფრაზის სახით დააზუსტეთ მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;

√განხილვის ბოლოს შეაჯამეთ ინტერვიუს დროს წამოჭრილი საკითხები.

პროცესის დასრულების შემდეგ:

√მოამზადეთ ინტერვიუს შემაჯამებელი ანგარიში;

√მოამზადეთ ჩანაწერის ტრანსკრიპტი.

სიმბოლოები:

(*) - დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით დასმული შეკითხვა

[...] - კითხვისთვის მინიჭებული სპეციალური კოდი (განკუთვნილია ანალიზის გასამარტივებლად.

## ნაწილი I: გრანტების გაცემის დაგეგმვა
## ეტაპი: I.I. საგრანტო პროგრამის შექმნა

1. გთხოვთ დაახასიათოთ საგრანტო პროგრამა და მისი ძირითადი მიმართულებები.
2. [პრიორიტეტები]დაფუძნებულია თუ არა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუტისთვის აქტუალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაზე? ეფუძნება თუ არა პროგრამის მიმართულებები ემპირიულ კვლევას (სტატისტიკურ მონაცემებს, ანგარიშებს ა.შ.)?
3. *ჩართულნი იყვნენ თუ არა სხვადასხვა დაინტერესებული პირები პროგრამის შემუშავების პროცესში (მაგ. პოტენციური მოსარგებლეები და ა.შ.) ?

## ეტაპი : I.II. გრანტების გაცემის დაგეგმვა

4. [ადმინისტრაცია] არსებობს თუ არა გრანტების ადმინისტრირების ორგანო (საბჭო/კომისია)?
5. [ადმინისტრაცია] განსაზღვრულია თუ არა საგრანტო განაცხადის წარდგენის მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და განაცხადის განხილვის პროცედურები?
6. შემუშავდა თუ არა განაცხადის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ?
7. წინასწარ დადგინდა თუ არა განაცხადის წარსადგენი ვადები?
8. განსაზღვრულია თუ არა ბიუჯეტის ზედა ზღვარი? ქვედა ზღვარი?
9. [გამჭვირვალობა] წინასწარ განისაზღვრა თუ არა საგრანტო კონკურსის გამჭვირვალობის კომპონენტი:

* რა ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ (განცხადება, მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები)?
* რა გზით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია (სოც. ქსელები, ვებგვერდი, სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და სხვა)?
*გამოქვეყნდეს უნდა თუ არა განაცხადის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები?

## ნაწილი II: გრანტების გაცემის პროცესი
## ეტაპი: II.I. კონკურსის გამოცხადება

10. [გამჭვირვალობა | ადმინისტრირება] რა საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ?
11. [გამჭვირვალობა | ადმინისტრირება] რამდენად იყო გავრცელებული ინფორმაცია ამომწურავი? იყო თუ არა ხელმისაწვდომი ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და გასაჩივრების მექანიზმი განმარტებული?
12. განაცხადის მიღების და დოკუმენტების წარდგენის რა ფორმებს იყენებთ (ელექტრონული, წერილობითი. ა.შ.)?
13. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის გაცემის რა გზებს სთავაზობს ინსტიტუტი დაინტერესებულ პირებს (მიღების საათები, ელ ფოსტა..) ?
14. როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპზე რაიმე ხარვეზი ხომ არ არის?

## ეტაპი: II.II. შესარჩევი კომისიის ფორმირება

15. როგორ მიმდინარეობდა შემფასებელი ორგანოს ფორმირება? განსაზღვრულია თუ არა ეს საკითხი სამართლებრივი აქტით?
16. როგორ განისაზღვრა ორგანოს წარმომადგენლობითობა და შემადგენლობა?
17. [გამჭვირვალობა] გათვალისწინებული იყო თუ არა ინტერესთა კონფლიქტის საკითხი? ეს საკითხი როგორ რეგულირდება?

## ეტაპი: II.III. საკონკურსო განაცხადის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

18. განისაზღვრა თუ არა წინასწარ განაცხადის შეფასების პარამეტრები ? [მაკონტროლებელი კითხვა] *არსებობდა თუ არა ქულათა სისტემა? რა პრინციპით გამოვლინდა გამარჯვებული?
19. სულ რამდენი განაცხადი იყო წარმოდგენილი? (თუ მხოლოდ რამდენიმე, თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?) რამდენი განიხილეს?

რამდენის განხილვაზე თქვეს უარი? ხომ არ შეგიძლიათ გაიხსენოთ მიზეზი?
20. *განსაზღვრულია თუ არა განაცხადში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორების/შევსების წესები (მაგ. დამატებითი კონსულტაციები)?
21. რას თვლით, რომ შეიძლება გაუმჯობესდეს განაცხადების შეფასების ამ ეტაპზე?
22. [გამჭვირვალობა]როგორ უზრუნველყოფთ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას შემფასებელ კომისიასა და კონკურსანტებს შორის?
23. გავრცელდა თუ არა ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ და რა გზით? ხელმისაწვდომი იყო თუ არა დეტალები გამარჯვებული პროექტის შესახებ?

## ეტაპი: II.IV. გასაჩივრების მექანიზმი

24. არსებობს თუ არა გასაჩივრების მექანიზმი?
25. გასაჩივრებულა თუ არა რომელიმე განაცახადი და რა შედეგით დასრულდა იგი?
26. გამოქვეყნდა თუ არა გასაჩივრების შედეგები და რა საშუალებით?

## ნაწილი III: გრანტების განხორციელების მონიტორინგი

27. [მონიტორინგი] ახორციელებთ თუ არა გაცემული გრანტების მონიტორინგს?
28. არსებობს თუ არა გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულება და როგორი პრაქტიკა მოქმედებს ამ მხრივ?
29. ხელშეკრულებით გაწერილია თუ არა მონიტორინგის ვალდებულება და შედეგების შეფასების სისტემა? შეგიძლიათ დააკონკრეტოთ რა სახით?
30. ითვალისწინებს თუ არა ხელშეკრულება პროექტის შესრულების ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებს (შუალედური, საბოლოო, აუდიტის დასკვნა)?
31. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ მხრივ გასაუმჯობესებელი?
32. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში რა მექანიზმი მოქმედებს? როგორია ამ მხრივ პრაქტიკა?

33. განსაზღვრულია თუ არა მონიტორინგის გეგმა და მეთოდოლოგია?
34. რამდენად ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია პროექტის განხორციელების შესახებ დაინტერესებული პირებისთვის? რა გზით?
35. არსებობს თუ არა ხელშეკრულების ცვლილების პრაქტიკა და რა არის ამის მიზეზი?

## III.I. ეფექტიანობის შეფასება

36. ითვალისწინებს თუ არა საგრანტო პროგრამა შეფასების ინდიკატორებს და შეფასების პროცესის განხორციელების საკითხებს? რა სიხშირით უნდა განხორციელდეს ეფექტიანობის შეფასება?
37. როგორ აფასებთ პროექტის შედეგების შესაბამისობას საგრანტო პროგრამის მიზნებთან?
38. აფასებთ თუ არა ბენეფიციართა კმაყოფილების დონეს? თუ კი, როგორ?
39. ითვალისწინებთ თუ არა პროექტის შეფასებისას გამოვლენილ საკითხებს საგრანტო პროგრამაში რეკომენდაციის სახით?
40. ხელმისაწვდომია თუ არა შეფასების შედეგები დაინტერესებული პირებისთვის?
41. როგორ უნდა გაუმჯობესდეს პროცესი?

ზოგადი კომენტარები:

*დანართი #4:*

ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი
(გრანტის მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენელი)

| | |
|---|---|
| თარიღი: | |
| გრანტის მიმღები ორგანიზაცია: | |
| რესპოდენტის პოზიცია: | |

**პროცესის დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ:**

√რესპოდენტი ინფორმირებულია ინტერვიუს მიზნების, დროისა და ადგილის შესახებ;

√რესპოდენტი აცხადებს (წერილობით) თანხმობას კვლევაში ჩართვაზე;

√შეარჩიეთ წყნარი ადგილი და მოსახერხებელი დრო ინტერვიუსთვის;

√მოამზადეთ დიქტოფონი, შეამოწმეთ და თან იქონიეთ დამატებითი ბატარეები;

√ინტერვიუს დაწყებამდე მოამზადეთ ფურცელი და კალამი კომენტარების მოსანიშნად.

**პროცესის მიმდინარეობისას, ყურადღება მიაქციეთ:**

√არავერბალურ ნიშნებს, ემოციებსა და ჟესტიკულაციას;

√ინტერვიუს დაწყებამდე გაეცანით რესპოდენტს და საშუალება მიეცით თავი კომფორტულად იგრძნოს. ეს დაგეხმარებათ ნდობის მოპოვებაში;

√ჩაუღრმავდით შეკითხვებს; გამოიყენებთ ფრაზები: „შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი; იქნებ უფრო დეტალურად აღწეროთ"; და ა.შ);

√საჭიროების შემთხვევაში კითხვა დააკონკრეტეთ, ხოლო პერიფრაზის სახით დააზუსტეთ მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;

√ განხილვის ბოლოს შეაჯამეთ ინტერვიუს დროს წამოჭრილი საკითხები.

პროცესის დასრულების შემდეგ:

√ მოამზადეთ ინტერვიუს შემაჯამებელი ანგარიში;

√ მოამზადეთ ჩანაწერის ტრანსკრიპტი.

სიმბოლოები:

(*) - დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით დასმული შეკითხვა

[...] - კითხვისთვის მინიჭებული სპეციალური კოდი (განკუთვნილია ანალიზის გასამარტივებლად.

## ნაწილი I: გრანტების გაცემის ადმინისტრირება

1. [გამჭვირვალობა] როგორ გაიგეთ საგრანტო კონკურსის შესახებ, რა გზით (სოც. მედია; ვებ-გვერდი, და ა.შ.
2. პირველად იღებდით თუ არა მონაწილეობას? *თუ არა, რა შედეგით დასრულდა ადრეული მცდელობა?
3. [პრიორიტეტები]თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამებოდა საგრანტო პროგრამის პრიორიტეტები საჯარო ინსტიტუტის მიზნებს?
4. [პრიორიტეტები] თქვენი აზრით, რამდენად ასახავდა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუტისთვის აქტუალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს? *თუ არა, მაშინ, როგორ შეიძლება მათი უკეთ განსაზღვრა?
5. როგორ ფიქრობთ, ჩართულნი უნდა იყვნენ თუ არა სხვადასხვა დაინტერესებული პირები პროგრამის შემუშავების პროცესში (მაგ. პოტენციური მოსარგებლეები და ა.შ.) ?

6. [გამჭვირვალობა | ადმინისტრირება] რამდენად იყო გავრცელებული ინფორმაცია ამომწურავი? განსაზღვრული იყო თუ არა საგრანტო განაცხადის წარდგენის მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და განაცხადის განხილვის პროცედურები?
7. ხელმისაწვდომი იყო თუ არა განაცხადის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ?
8. განსაზღვრული იყო თუ არა განაცხადის წარსადგენი ვადები?
9. განსაზღვრული იყო თუ არა ბიუჯეტის ზედა ზღვარი? ქვედა ზღვარი (თითოეული აპლიკანტისთვის)?
10. იყო თუ არა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა და გასაჩივრების მექანიზმი შესახებ განმარტებული?
11. განაცხადის მიღებისა და დოკუმენტების წარდგენის რა ფორმა იქნა გამოყენებული (ელექტრონული, წერილობითი. ა.შ.)?
12. რაიმე სირთულეებს ხომ არ გადააწყდით განაცხადის შევსებისას (გთხოვთ მოიყვანოთ მაგალითი)?
13. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის გაცემის რა გზებს სთა-

ვაზობდა ინსტიტუტი, დაინტერესებულ პირებს (მიღების საათები, ელ ფოსტა..) ?
14. როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპზე რაიმე ხარვეზი ხომ არ არის?

## ნაწილი II: საკონკურსო განაცხადის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

15. რა პრინციპით გამოვლინდა გამარჯვებული? *არსებობდა თუ არა ქულათა სისტემა? ინფორმირებული იყავით თუ არა წინასწარ განაცხადის შეფასების პარამეტრების შესახებ? [მაკონტროლებელი კითხვა]
16. საჭიროების შემთხვევაში იყო თუ არა დამატებითი კონსულტაციების მოთხოვნის საშუალება?
17. [გამჭვირვალობა | ინტერესთა კონფლიქტი] გქონდათ თუ არა წინასწარ ინფორმაცია შესარჩევი კომისიის შემადგენლობის შესახებ? (მაგალითად ვებ-გვერდის საშუალებით).
18. როგორ/რა ფორმით გაცნობეს კომისიის გადაწყვეტილების შესახებ? [გამჭვირვალობა] გამოქვეყნდა თუ არა განაცხადის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები?
19. ხელმისაწვდომი იყო თუ არა დეტალები გამარჯვებული პროექტის შესახებ?
20. რას თვლით, რომ შეიძლება გაუმჯობესდეს განაცხადების შეფასების ამ ეტაპზე?
21. ინფორმირებული იყავით თუ არა გასაჩივრების მექანიზმის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდით თუ არა მას? თუ არა, რატომ არ გამოიყენებდით?

## ნაწილი III: გრანტების განხორციელების მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება

22. [მონიტორინგი] ახორციელებდა თუ არა გრანტის გამცემი უწყება თქვენი გრანტის მონიტორინგს?
23. გააფორმეთ თუ არა ხელშეკრულება გრანტის გამცემთან?

24. ხელშეკრულებით გაწერილი იყო თუ არა მონიტორინგის ვალდებულება და შედეგების შეფასების სისტემა? შეგიძლიათ დააკონკრეტოთ რა სახით?
25. ითვალისწინებდა თუ არა ხელშეკრულება პროექტის შესრულების ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებს (შუალედური, საბოლოო, აუდიტის დასკვნა)?
26. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ მხრივ გასაუმჯობესებელი?
27. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში რა მექანიზმი მოქმედებდა? იყავით თუ არა ამის შესახებ ინფორმირებული წინასწარ?
28. განხორციელდა თუ არა პროექტის ეფექტიანობის შეფასება გრანტის გამცემი უწყების მიერ? თქვენ მიერ?
29. აფასებთ თუ არა ბენეფიციართა კმაყოფილების დონეს? თუ კი, როგორ?
30. გაუზიარეთ თუ არა პროექტის შეფასებისას გამოვლენილი საკითხები გრანტის გამცემ ორგანიზაციას რეკომენდაციის სახით?
31. ფიქრობთ თუ არა, რომ პროცესი საჭიროებს გაუმჯობესებას? როგორ?

ზოგადი კომენტარები:

# გამოყენებული მასალები


1. სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელო (2017);
2. საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო და ფინანსების მექანიზმები (2017)
3. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის #126 დადგენილება;
5. საქართველოს იუსტიციის სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამ ტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის #160 ბრძანება;
6. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონი;
7. „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი
8. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
9. „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართვლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის #106/ნ ბრძანება;
10. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 7 თებერვლის #19/ნ ბრძანება;
11. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 11 თებერვლის დადგენილება №2/2014 ;
12. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 6 მარტის დადგენილება №8/2015;
13. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის №7/2017 განკარგულება;
14. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 22 მაისის №33/2017 განკარგულება;
15. „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და

პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბერი №135/ნ ბრძანება;
16. „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვალი №84 დადგენილება;
17. „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვალი №86 დადგენილება;
18. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №1-1/282 „საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
19. სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 1 დეკემბრის #47 ბრძანება;
20. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 18 თებერვლის #246 ბრძანება;
21. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს 219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“;
22. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
23. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 მაისის #248 დადგენილება.